

საერთო გაფატი

№2 (552) • 29 იანვარი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი



**გიძინა ივანიშვილის
სიმტკიცეაა
დამოკიდებული,
შესძლებს თუ არა
იმ ნიაღვრის შეკავებას,
როგელის საქართველოს
წალაქვით ემუქრება**

მოკითხვა გეზიას, ანუ წერილები ქრეგლის გავლით ჰოშიგბონიდან

ვინც მეტყვის, რომ ამერიკელი კონგრესმენების ეს წერილები „ნაციონალების“ დანერილი არ არის და შემდეგ მინა სააკაშვილმა არ ჩაასწორა თავისი ჩიქორთული ქართულით და ბოლოს ისევ „ნაციონალებმა“ არ თარგმნეს, ან დებილად ჩავთვლი, ან კიდევ უვიცად



ფსიხოპატილია



ისეთმა რა ფრინველმა გადაუფრინა საქართველოს - „გუგულის ბუდე“, რომ გიჟების მძევლობიდან თავი ვერ დაგვიღწევია?

**ქორონავირუსი - ეს არის მასობრივი
განადგურების იარაღი, როგელის უხანის
ლაბორატორიაში დამზადდა?**



ერიკ რეინერტი:
„როგორ გამდიდრდნენ
მდიდარი ქვეყნები...
და რატომ რჩებიან
ღარიბი ქვეყნები
ღარიბებად“



**რა
კავშირი
აქვს ბილ
გეიტსს
მეცნიერთა
იმ ჯგუფთან,
როგელმას
ეს ვირუსი
შექმნა?**

მოკითხვა ბეზიას, ანუ წერილები კრეატივის გავლით ვოუნიგბონიდან

ვინც მეტყვის, რომ ამერიკელი კონგრესმენების ეს წერილები „ნაციონალისტური“ დაწერილი არ არის და შემდეგ მისა სააკაშვილმა არ ჩაასწორა თავისი ჩიქორთული ქართულით და ბოლოს ისევ „ნაციონალისტურ“ არ თარგმანს, ან დახილად ჩავთვლი, ან კიდევ უვისად

იყო დრო, ჩვენი საკითხები ის-ბაპანსა და პეტერბურგში იმპერატორების დონეზე იხილებოდა, ახლა კი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მესამე მოადგილის, კონგრესმენებისა და ელჩების დონეზე დავედით. ვაღიაროთ, ჩვენ ამდენი ჭკუის დამრიგებელი არასდროს გვეყოლია.

პოდა, წინა კვირის პირველსავე დღეს ამერიკელმა კონგრესმენებმა ადამ კინზინგერმა და ჯერალდ კონნოლიმ, ვისი არსებობის შესახებაც საქართველოში თითქმის არავინ იცოდა, თურმე პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას წერილი გამოუგზავნეს. წერილიც არის და წერილიც... როგორც „ქართული ოცნებიდან“ გაგდებული ზვიად კვაჭანტირაძე აცხადებს, რაც პოლიტიკაშია, მსგავსი სიმკაცრისა და ტონალობის განცხადება არ ახსოვს. დარწმუნებული ვარ, ამხანაგ ზვიადს არც ის ახსოვს, ვისი წყალობით არის პოლიტიკაში (თუ ამას პოლიტიკა ჰქვია) და არც ის, როგორ ცდილობდა ბიძინა ივანიშვილის მუხლებთან მიჩორებას და კოცნას. ნუ, არ ახსოვს... უფრო სწორად, არ აწყობს, თორემ ძალიანაც კარგად ახსოვს!

იმას გიყვებოდით... ამერიკელი კონგრესმენები დამსხდარან და გახარიას მისამართით აღმუშაობით აღსაყვანი წერილი დაუწერიათ, მერე კონგრესში ჩაუდიათ, ნერწყვით დაუწებებიათ და გამოუგზავნიათ:

„მეორეაღსო პრემიერ-მინისტრო, ბატონო გახარია, როგორც საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარეები, ჩვენ გწერთ შემფოთებით ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებებზე, რომლითაც თქვენ უარი თქვით დაპირებული პოლი-

ტიკური რეფორმის გატარებაზე, ასევე იმ ანგარიშებთან დაკავშირებით, რაც მოდის მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევასზე.

1991 წლის დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველომ შექმნა განვითარების მყარი დემოკრატიული საფუძველი და არაერთხელ გამოხატა თავისი ერთგულება დემოკრატიული ღირებულებების მიმართ, დამოუკიდებელი და სამართლიანი არჩევნების გზით. ამიტომაც შოკში ვართ, რომ პროპორციულ არჩევნების სისტემაზე გადასვლის დაპირებული რეფორმები საქართველოს პარლამენტში ჩამოიშალა, ამ რეფორმებზე საქართველომ წლები იმუშავა ევროკავშირთან და ვენეციის კომისიასთან ერთად. ეს დანაპირები მარტო საერთაშორისო საზოგადოების წინაშე კი არ იყო დადებული, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქართველ ხალხს დაპირდით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აღადგენთ მოლაპარაკებებს დაუყოვნებლივ და გაატარებთ ამ მნიშვნელოვან რეფორმების პაკეტს. საქართველოს მოსახლეობას სჭირდება მთავრობა, რომელიც შედეგება ხალხისგან და იქნება ხალხისთვის. მათ სჭირდებათ მთავრობა, რომელიც ალიანსშია დასავლეთთან და მიისწრაფის ნატოსა და ევროკავშირში შესვლისკენ. ამიტომაც ბევრი ადამიანი გავიდა ქუჩაში, რომ მშვიდობიანად გამოეხატათ თავისი შეშფოთება და სანაცვლოდ მიიღეს ძალადობრივი დარბევა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას აქვს უფლება გამოეყენოს კანონიერი და პროპორციული ძალა ძალადობრივი არეულობის დროს, ამავდროულად დემოკრატია აღიარებს მოქალაქის უფლებას, მშვიდობიანი ფორმით გამოხატოს თავისი შეხედულებები. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქციის ასობით მონაწილე, ჟურნალისტი და პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერი დაშავდა ან ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა, მთავრობის მიერ გამოყენებული ძალადობა, არის ძალზე შემამოფრთხილებელი.



ბოლო სამი ათეული წელია, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების სანდო და სტრატეგიული პარტნიორია. ცოტა ხნის წინ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული იქნა დადგენილება 598, საქართველოს მხარდაჭერის აქტი, რომლითაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოუცხადა მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, აღიარა საქართველოს მხარზე დემოკრატიული ღირებულებების გატარებაში და აპროტესტებს რუსეთის აგრესიას რეგიონში. ახლა საქართველოს მთავრობის ჯგერია, რომ აღასრულოს თავისი დანაპირები ქართველი ხალხის წინაშე და ველოდებით თქვენთან ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომ გაძლიერდეს დემოკრატია საქართველოში მომდევნო წლებში“.

ვინც მეტყვის, რომ ამერიკელი კონგრესმენების ეს წერილები „ნაციონალისტური“ დაწერილი არ არის და შემდეგ მისა სააკაშვილმა არ ჩაასწორა თავისი ჩიქორთული ქართულით და ბოლოს ისევ „ნაციონალისტურ“ არ თარგმანს, ან დახილად ჩავთვლი, ან კიდევ უვისად

კონგრესმა გამოუგზავნა. ცნობისათვის: ამჟამად კონგრესი შედგება 535 წევრისგან და ყველა კონგრესმენი არჩეულია მაჟორიტარული სისტემით. თვით კინზინგერი გახლავთ რესპუბლიკელი და 2010 წლიდან არჩეულია ილინოისის შტატის მაჟორიტარად, ანუ მისივე ჭკუით, არადემოკრატიულად. მისთვის ადამმა, როგორც ჩანს, არც კი წაიკითხა მიხოს ჩასწორებული წერილი, ისე გამოუგზავნა გახარიას, თორემ ასერიგად არ შეეწინააღმდეგებოდა საკუთარ თავს და არ დაწერდა, პროპორციული საარჩევნო სისტემა უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ჩვენი, მაჟორიტარული სისტემაო. თქვენ არ ვიცი, ჩემო ძვირფასო მკითხველბო, მაგრამ მე ცხოვრებამ უკვე იმდენი გამოცდილება მომცა, ნებისმიერ ადამიანს ვერევე ვატყობ, რა ინტერესები ამომრავებს და მისი სული საით უბერავს, გინდა კონგრესმენი იყოს, გინდა – პრეზიდენტი, გინდა – გლეხი, გინდა – მუშა, გინდა – ინტელიგენტი. პოდა, ამ კონგრესმენებსაც ვატყობ ვირეშაკობას და კორუფციაში ხელის ფათურს. აბა, ამისნაშა ვინმე, რატომ არ იღვებოდნენ იგივე კონგრესმენები 2012 წელს, როცა 25 ათასზე მეტი მოქალაქე პატიმარი იყვნენ და 330 ათასი კი იღვრა ან მკვლელობაში? რატომ არ ვინმე ანაწილდა „ალფრედო“ ვინმე მისხილ სააკაშვილს, როცა 150 ახალგაზრდა მუხარამ ჩაცხრილეს და ბიზნესმენებს ატარორმბდნენ? არა, ძვირფასებო, ესენი მაშინ ჩუმად იყვნენ, რადგან ლობისტურ კომპანიებს ამოფარებულნი კი „მაყუთს“ ჭრიდნენ.

ამიტომაც არ ისვენებენ. აგერ, ამ დღეებში კიდევ ერთი წერილი გამოუცხვიათ სახელდახელოდ და ისევ გაუგზავნიათ პრემიერ გიორგი გახარიასთვის, ოღონდ ახლა ადამ კინზინგერსა და გერი კონოლს ორი კონგრესმენი დაუმატებიათ – ელიოტ ენგელი და მაიკლ მაკკოსი, სულ ოთხნი არიან. წერილში კონგრესმენები იმედს გამოთქვამენ, რომ მთავრობა იმუშავებს აშშ-ის კონგრესთან, ელჩ კელი დაგანთან, ევროკავშირთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა გაძლიერდეს დემოკრატიული ინსტიტუტები და გაიზარდოს ქართველი ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობა. გაიგონეთ? იმედიანო, საქართველოს მთავრობა ამგნთან, იმგნთან და კიდევ ამგნთან ითანამშრომლებსო. აბა, აქამდე ეს მთავრობა რას აკეთებდა? რას ამბობთ, ამუშაველო ბიჭებო, ხან ისე ხშირად თანამშრომლობს, ჩვენ საერთოდ ვაეწყედებით და არჩევნების პერიოდში ვახსენდებით. ასე რომ, ამ შენიშვნას ვერ მივიღებთ. კიდევ რას იწერებინ ოკეანის გაღმდინ? აგერ, საკუთარი თვალთ წაიკითხეთ:

„ჩვენ, როგორც კონგრესის წევრები დიდი ხანია მხარს ვუჭერთ საქართველოში დემოკრატიული რეფორმებისა და დასავლეთისკენ ინტეგრაციას. როგორც 2019 წლის 13 დეკემბერს გამოუგზავნილ წერილში, ზოგიერთმა ჩვენგანმა გამოხატა შემფოთება დაპირებული დემოკრატიული რეფორმების შეუსრულებლობასა და მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ძალადობის გამოვლენის ფაქტებზე. ამასთანავე ჩვენ გწერთ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პოლიტიზირებასთან დაკავშირებით. საქართველო ემზადება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები-



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სბც) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდნენ რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი წლის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ინფორმაცია შპს „საგამომცემლო ცენტრი“ სტამბაში; თბილისი, აგლასის 39



სათვის “ქართული ოცნების” მმართველობის პერიოდში. ჩვენ კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, დაიცვათ არჩევნების ლეგიტიმურობა და დერეჟისტრირებული, რომ ისინი დაცულია საშინაო და საგარეო ჩარევებისგან. თქვენს მიერ 2019 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებულ პასუხში, თქვენ გვარწმუნებთ, რომ 2020 წლის არჩევნები გაიმართება უმაღლესი სტანდარტებით (ნორმების დაცვით). ბოლო მოხსენებების მიხედვით, ფაქტობრივად დახურულ “ქართული ოცნების” მიერ შექმნილი ანგარიშები ის ფაქტი, რომ ეს ანგარიშები ავრცელებდნენ დემოკრატიისა და დასავლეთის საწინააღმდეგო იდეოლოგიას, უბრალოდ მიუღებელია.

ამასთანავე, ჩვენ შეწუხებული ვართ იმ ფაქტით, რომ “ქართული ოცნების” მიერ დანიშნული პროკურორები თავიდან ხსნიან საგამოძიებო საქმეებს, რომლებიც მიმართულია პარტიის ოპონენტების წინააღმდეგ. მართალია, ზოგიერთ საქმესთან დაკავშირებით არის გამოძიების საფუძველი, თუმცა უმეტესობა გამიზნულია ოპოზიციური პარტიების ლიდერების, ახალი ამბების სააგენტოების, საერთაშორისო კორპორაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების წინააღმდეგ. კანონის უზენაესობისა და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემის პატივისცემა ჯანსაღი დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მოგიწოდებთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისაკენ, რომელიც გარანტირებული იქნება თქვენი პარტიის მიერ“.

როგორც ხედავთ, ამ წერილში სამი საკითხი გამოყოფილი: პირველი – ჩვენ რომ გამოეთქვით შემოერთება ამას წინაშე დემოკრატიული რეფორმების შეუსრულებლობისა და მშვიდობიანი დემონსტრაციების მიმართ ძალადობის გამო, ხომ კარგად გეიგონეთ? ამასთანავე, ღრმად წყვილიან პორტის პოლიტიკის შესახებაც მოგწერეთ და ვითომც არაფერი? იცით, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ ძალიან ბევრი ჭკუის დამრიგებელი გვყავდა, ისინი გვიყვებოდნენ ზღაპრებს, თუ რა ხდებოდა საქართველოში და ასე გრძელდება დღემდე. ჩვენ გვატყუებდნენ, ჩვენ თავს გვახვევდნენ რაღაც ილუზიებს და ნერვებსაც გვიშლიდნენ. სხვათა შორის, ამ „ილუზიონისტებმა“ თითქმის ყველა ხელისუფლება წამოაჩოქეს სააკაშვილის რეჟიმის გარდა, რომელიც მათ მოქრთამვაში მილიონებს ფლანგავდა. აბა, ნახეთ, დემოკრატიული რეფორმების შეუსრულებლობა, მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა, ღრმად წყვილიანი პორტიო... არც

შეუსრულებელ რეფორმებს აკონკრეტებენ, არც პორტზე ამბობენ რამე ხელშეხანებს და დემონსტრაციებზეც გვეუბნებიან, მშვიდობიანი იყვნენო. არადა, ჩვენ ხომ უკეთესად ვიცით, რა იყო, როგორ არის და რანაირად იქნება?

მეორე – კონგრესმენები ვახარბას კიდევ ერთხელ მოუწოდებენ, ხელისუფლებამ დაიცვას არჩევნების ლეგიტიმურობა. და ვინმემ თქვა, ვინმემ უთხრა ამათ, არ დავიცავთო? ამასთანავე, ყურადსაღებია, რომ „ფეისბუქის“ ადმინისტრაციამ ხელისუფლების მიერ მართული გვერდები დახურა. ეტყობა, ესე-



ნი ან ტყემაღზე სხედან, ან კიდევ თავებს იღებენ... ჯერ ერთი, მხოლოდ ხელისუფლების მომხრეთა გვერდები არ დაუხურავთ (იქიდან უმეტესობა აღადგინეს) და მეორეც – „ნაცებს“ რომ ბოტები, ტროლები და ჯანსაღები ჰყავთ სოციალურ ქსელებში, იმდენი არავის.

მესამე – თურმე კონგრესმენები შეწუხებული არიან იმიტომაც, რომ „ოცნების“ მიერ დანიშნული პროკურორები თარობებიდან ძველ საქმეებს იღებენ და პოლიტიკურად იყენებენო. გეუბნებით, ამათ ტექსტებს სააკაშვილი უწერს, რა მნიშვნელობა აქვს, საქმე ძველია თუ ახალი? დანაშაული მოხდა? მორჩა, უნდა გამოიძიონ და სხვათა შორის, „ნაციონალებს“ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული უკვე ძველია და აღარ გამოვიძიოთ, მამაძალი? თუმცა, საქმეების უმეტესობა გამიზნულია ოპოზიციური პარტიების ლიდერების, ახალი ამბების სააგენტოების, საერთაშორისო კორპორაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების წინააღმდეგო. აშკარა სისულელეა, რა ახალი ამბების სააგენტოები, რის საერთაშორისო კორპორაციები და რომელი ატმი კურკა?

ძვირფასო მკითხველებო, აქ თქვენი ნებართვით ლირიკულად უნდა გადავუხვიო: თურმე კონგრესმენების წერილი აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ყოფილ მრჩეველს მაიკლ კარპენ-

ტერს წაუკითხავს და ვერაფერ გამოუთქვამს თავისი კომპლენტური აზრი, საქართველოს მთავრობა სერიოზულად უნდა მოეკიდოს ამ წერილსო. საქართველოში კი ატყდა ერთი ამბავი, აი, ნახეთ, „აშშ-ში“ მალაჩინოსანი რეებს ამბობს, უკვე დაერხა „ქართულ ოცნებასო“. შეგახსენებთ, ეს თქვა ყოფილის ყოფილმა და აწ უკვე უმუშევარმა. თუნდაც არ იყოს ყოფილი, რა გეჭირს დასაბუნდობელი და საუნებრულო?!

უარესს გეტყვით, მიხეილ სააკაშვილის ყოფილი რძალი, გავარდარებული „ნაციონალი“, ხატია დეკანოიძე აცხადებს, გვაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან მძიმე შინაარსის რამდენიმე წერილი კიდევ მზადდება, მათ შორის განარბას სახელზე და ივანიშვილის გასაგებადო. არა, ბატონებო და ქალბატონებო, ამათ ინფორმაცია კი არა, კონგრესმენებისა და ევროპარლამენტარების („სახალხო პარტიდან“) წერილები აქვთ ნაყიდი. ამიტომაც იცინა, სად რა და როგორ მზადდება!

კონგრესმენების წერილები რომ ნაყიდა და ხუთიოდე კონგრესმენი რომ პირადი ინტერესები ამოძრავებთ, ამის დასტურად ვინმემ მარკვენ მალინის (ესეც კონგრესმენი ყოფილა) გამოხტომაც კმარა.

რამ ჩემი ფეხები. ეს კომპანია წლების განმავლობაში ატყუებდა თავის მფლობელებს აშშ-ში, დელოფლის-წყაროს მიდამოებში ტრილიონობით კუბმეტრი გაზი აღმოვაჩინეთ, ნავთობსაც მივაგენით, ავშენდით და ეგ არიო. ჩემი ახლობლები თავიდანვე იმხდნენ, ეს ჩემივე ტყუილად ბურღავენ, მანდ არც გაზია, არც ნავთობი, ფულს ითვისებენო. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ეს კონგრესმენი „ფორტერას“ ოფიციალური ლობისტია და იქიდან მილიონებს იღებს. ლობისტობა ახლა დარქვეს, თორემ ადრე ეგეთ საქმეს კორუფცია ერქვა და კანონით ისჯებოდა. რო... მისტერ მალინ, ჩვენ ვეღარ დავუშვებთ შეცდომებს, ვეღარ გავაკეთებინებთ ფულს ჩვენს უბედურებაზე, კარგად შევისწავლეთ თქვენი ზრიკები. თუ ვინმეს... რაღა ვინმეს, თუ სულწაწმედ ი.წ. ოპოზიციას ჰკონია, ამ ქარაქუცა წერილებით ქართულ სახელმწიფოს შეარყვეს და ბიძინა ივანიშვილს დაამხო, ძალიან ცდება, არ გამოვა მაი ამბავი!

მეგობრებო, ჯერ კონგრესმენი მალინი არ იყო დაშოშმინებული, ახლა კონგრესმენმა ბრაიან ბაბინმა მისწერა გიორგი ვახარაიას ზუსტად იგივე – გაიფე, საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია, თურმე ამერიკულ კომპანიებს საფრთხეს

ესენი რაღაც ვერ არიან თავიანთ „მატორებზეო“:

„მე არ ვარ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი. მე არ ვესწრებოდი სხდომას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მივიღე ინფორმაცია მსჯელობის შესახებ. გული დამწყვდა, როგორ იყო საქართველოს საკითხი განხილული. მნიშვნელოვანია, ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ ევროპარლამენტის წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნებს. ისინი არიან პოლიტიკოსები. ჩემთვის დასანანი, რომ ბევრი ამ თემას პოლიტიკური ქულების დასაწერად იყენებს. მე ეს ვუთხარი ჩემს კოლეგებს და ევროპარლამენტარებსაც აუცილებლად ვეტყვი. საქართველომ დაამტკიცა, რომ სანდო, ძლიერი პარტნიორია და ამას ვერავინ უარყოფს. ძლიერი პარტნიორია არა მარტო ევროკავშირისთვის, არამედ ნატოსთვის. თქვენ გვათხარ სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, მათ აქვთ განსხვავებული მოსაზრებები და ეს ამტკიცებს, რომ თქვენთან დემოკრატიას. არც ერთი პოლიტიკური ლიდერისთვის მიზანშეწონილი არ არის, ჩამოვიდეს, ლექციები წაგიკითხოთ, გააკრიტიკონ ქვეყანა და არ იცოდეს, რეალურად რა ხდება. თქვენ გაქვთ შესანიშნავი ქვეყანა, ხართ არაჩვეულებრივი ხალხი და იამაყეთ საქართველოთი“.

და ბოლოს... რაკი ჩვენი „მეგობარი“ კონგრესმენები არ ისვენებენ, ბოლომდე ვთქვათ სიმართლე: ყველა მათგანი არის კომპანია „ფორტერას“ ლობისტი, მათ ყოველთვიურად ერიცხებათ თანხები – მაგალითად, როგორც ანალიტიკოსი გააბაშიძე გვეუბნება, შარშან ბაბინს გაზისა და ნავთობის სექტორიდან 21 ათასი დოლარი შესწირეს. „ფორტერასგან“ ბაბინს ბოლოს ჩაერიცხა 1000 დოლარი. მისტერ ოლსონიც ამ კომპანიის ლობისტი გახლავთ, 2019-ში მან ნავთობის ინდუსტრიიდან მიიღო 56 ათასი დოლარი. რაც შეეხება მალინს, „ფორტერასგან“ ბოლოს ჩაერიცხა 3000 დოლარი, შარშან სულ გამოვიდა 68 ათასი დოლარი.

პოლო... აი, ამამა საქმე, ჩემო ძვირფასებო, დანარჩენზე კი დასკვნა თავად გააკეთეთ.

„ნაციონალებსა“ და მათთან გათანაბრებულ პირებს უხარიათ, ამ წერილების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს მთელ ქონებას დაუყადალებენ და დაჭერენ კიდევაცო. ჰო, ასე არწმუნებთ თავიანთ მდაბიო თავყანისმცემლებს და იმათაც სჯერათ. არადა, ოკლაპომელი კონგრესმენი ვინ ჩემი ფეხებია, ივანიშვილს ქონება დაუყადალოს და დაიჭიროს?!

მე კი ისე დამრჩენია, ამერიკელ კონგრესმენებს და ევროპარლამენტარების ნაწილს ვურჩიო: ნუ წუნწკაობთ ტყუილად მეგობრებო, ქართველი ხალხი ისე გაიზარდა, აღარ იჯერებს თქვენს ვირუშმაკობას და ვითომ ცრემლთა ღვარღვარს!

ისე, რაღა დაგიმალეთ და... მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს ყველაფერი არის ანტიამერიკული კამპანია „ჩერეზ კრემლი“... აბა, ნახეთ, მალინმა მოგვეწერა, ბაბინმა მოგვეწერა, ერთი ლენინის წერილი გვაკლია და ეგ არი, რააა. გაიმიფრეთ, ბატონებო, გაიმიფრეთ!

დღეს ბიძინა ივანიშვილის სიგჷკიხისა და შეუპოვრობაჷა და მოკიდებული, შესძლებს თუ არა იმ ნიაღვრის შეკავებას, როგორც საქართველოს ნალექით ემუქრება

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, ვინ არიან ე.წ. პრო-დასავლელები ანუ, ხალხი ვინც პუტინს ლანძღავს და არა ოკუპაციის სახელით აქციებს აწყობს. ისინი თავად ხომ არ წარმოადგენენ რუსულ აგენტურას?

— ვფიქრობ, თქვენს შეკითხვაზე პასუხი, გარკვეულწილად, ბოლო პერიოდში პუტინის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რაც მთავრობის გადაწყვეტას და რუსეთის ფედერაციაში ახალი საკონსტიტუციო რეფორმირებული კონტენტის შეტანას უკავშირდება. ეს ნაბიჯი ახალი ეპოქის დასაწყისი და პუტინის ძალაუფლების განხანგრძლივებაა. დღეს, მთავარია საქართველო რა გზას აირჩევს. ჩნდება ლოგიკური კითხვა: შეძლებს თუ არა ბატონი ივანიშვილი ამ ყველაზე უფრო რთულ და საპასუხისმგებლო მომენტში ქვეყანა სამშვიდობოს გაიყვანოს.



დღეს, დგება დრო, როდესაც ბატონმა ბიძინამ არათუ ქართულ სახელმწიფოს, არამედ სრულიად მსოფლიოს უნდა აჩვენოს მისი შესაძლებლობები და რეალური როლი საქართველოს ისტორიის შემდგომი პროცესის სწორად წარმართვის საკითხში. შეძლებს თუ არა იგი ამის განხორციელებას, ახლო მომავალი გვიჩვენებს. სწორედ ახლა წყდება მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ჩვენი სახელმწიფოს სტატუსს უკავშირდება — შეძლებს თუ არა საქართველო იფოს ერთიანი. მოდით, თვალი გავუსწოროთ რეალობას — ეს ბიძინა ივანიშვილის ფაქტობრივი მმართველობის პროცესში უნდა განხორციელდეს. არის თუ არა ბატონი ბიძინა გარკვეული ნეგატიური მოვლენების შემთავებელი კამხალი, რაც შესაძლოა საქართველოს თავს დაატყდეს, ჩემი აზრით, აი, ეს არის მთავარი შეკითხვა, რაზედაც დღეს საზოგადოებას პასუხი უნდა გაეცეს სწორედ ივანიშვილის სწორად წარმოებული პოლიტიკის რეალუ-

რი შედეგების შედეგად.

— რას გულისხმობთ, როცა ივანიშვილს რთული ვითარების თავიდან აცილების შემთავებელი კამხალს უწოდებთ?

— ვგულისხმობ, შემდეგს: ე.წ. პრო-დასავლური, მოდერნიზებული და დემოკრატიული ორიენტირებული ძალები, რომლებიც საზოგადოებას დიდი ხნის მანძილზე, გარკვეულწილად, კონსერვატორულად მოაზროვნე, ეროვნულ ძალებად მიაჩნდა, სინამდვილეში ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ წლების განმავლობაში დანაშაულის ჩამდენ ძალებთან ერთად ერთ პლატფორმაზე აღმოჩნდნენ. ამას დიდი გულისტკივილით ვამბობ, მაგრამ მეორე მხრივ, კარგია, რომ ასეთი წყალგამყოფი გაივლო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი წყალგამყოფია, რომელიც ნებისმიერ უნებლიედ თავად ბიძინა ივანიშვილმა გაავლო. რა თქმა უნდა, ამის ფორმალური საფუძველი საარჩევნო სისტემის შესახებ მოცემული პირობის არმესრულება იყო. თავისთავად ცხადია, მთავარი პირობის

არმესრულებაზე პასუხისმგებლობა, ყოველთვის, პოლიტიკური პასუხისმგებლობაა. მაგრამ მე, სხვა რამის თქმა მსურს: როდესაც აღნიშნული პირობა არ შესრულდა, ყოველივე ამან ისეთი პროცესები გამოავლინა, რამაც კიდევ უფრო ახალი, მნიშვნელოვანი მოძრაობის ფაქტის წინაშე დაგვაყენა, ვგულისხმობ, იმ კონსოლიდირებული ძალის მოძრაობას, რომელმაც 20 თუ 22 პარტიის გაერთიანებით თავი იჩინა. მნიშვნელობა არ აქვს რის გამო არიან კონსოლიდირებულნი — საარჩევნო სისტემის, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების თუ სხვა რამის გამო. ფაქტია, პოლუსები — მინუსი და პლუსი მიზიდულობის პროცესში ვერასდროს იქნება. პოლუსი ღირებულებათა სისტემაში არსებულ განსხვავებებს ქმნის. სწორედ ასეთი განსხვავებებია პლუსი და მინუსი, რომლებიც ერთად ვერასდროს იქნებიან. ჩემთვის, აბსოლუტურად, გამაოგნებელი აღმოჩნდა სხვადასხვა იდეოლოგიის, პოლიტიკური

მრწამსის მატარებელი ძალებისა და მათი ლიდერების კონსოლიდირება. ვიმეორებ, წარმოუდგენელია როგორ აღმოჩნდნენ ეს ძალები ერთ პლატფორმაზე. პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება: ენახოთ, რა იქნება ფინალშიო. ეს მეტად საინტერესო განაცხადია პიროვნებისგან, რომელიც ნაკლებად ასოცირდება „ქართულ ოცნებასთან“. პრემიერ-მინისტრი, უდაოდ, ძალიან საინტერესო პიროვნებაა. მის წინააღმდეგ დაწყებული გააფთრებული ბრძოლა იმაზე მიუთითებს, რომ მას განვითარების ძალიან დიდი რესურსი გააჩნია. დიდი უგუნურება იქნება სპეკულაციას მისი გადაწყვეტა-არგადწყვეტის შესახებ, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი არ დაესვას. ის ფაქტი, რომ დღეს გახარია პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, გვაძლევს იმედს, რომ მართლაც საინტერესო ფინალი ვიხილოთ. რატომ? — იმიტომ, რომ როგორც ჩანს, დგება დრო სცენაზე ძალიან სერიოზული, ახალი, ეროვნულ ინტერესს მორგებული ადამიანები შემოვიდნენ. დღეს, ეს დრო დგება. ვფიქრობ, მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდება მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე 10 თვეა დარჩენილი. ეს იქნება პერიოდი ქართულ-რუსული ურთიერთობების, რეალურად, გამოსწორების, დეოკუპაციის პროცესისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრის. ეს მომავლის საკითხია. მანამდე, დღემდე ვარ დარწმუნებული შემდეგში: დღეს, რომ არა კონკრეტულად ივანიშვილის პიროვნული ფაქტორი და მისი შემთავებელი გარემოება, გარკვეული ნეოლიბერალური ღირებულებების მატარებელი ძალების მხრიდან, რომლებიც ფაქტობრივად, არჩევნებამდე ცდილობენ ხელთ ჩაიგდონ ყველა უფლებები, ამ საფრთხეს ვერ აცდებოდით. ვფიქრობ, ეს ანგარიშგასაწევი ფაქტორია. მეტი ყურადღებაა საჭირო, რათა ქვეყნისადმი მტრულად განწყობილმა ძალებმა 20 ივნისის დაწყებული პროცესების გამწვავება ვერ მოახერხონ. ისინი ქვეყანას ძალიან სერიოზულ ქაოსში ჩათრევას უპირებენ. ეს არ უნდა



დავუშვათ. ძალებმა ვინც ეროვნულ საქმეს ვემსახურებით, კონსოლიდაცია უნდა შევძლოთ.

— როგორ ფიქროს, რით და საიდან უნდა დაიწყო საქართველომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის საკითხი?

— თუკი საუბარია იმაზე, საიდან უნდა დაიწყოთ, რა თქმა უნდა, ისტორიული მენსიურების აღდგენიდან და ყველა იმ ფაქტის შეფასებიდან, რაც საკითხის ყურს მიღმა დატოვების შემთხვევაში ნამდვილად არ მოგვცემს წარმოდგენებს სწორი განვითარების პერსპექტივაზე. შევარდნაძის ხელისუფლებაში დაბრუნების დღიდან დღემდე, ვფიქრობ, საქართველოს უახლოეს ისტორიაში ძალიან ბევრი, მძიმე კატაკლიზმები იყო. რუსეთის ფედერაციაც, საქართველოს მსგავსად, იყო კოლონია, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ძალიან სუსტი იყო. მას არ გააჩნდა არავითარი დამოუკიდებელი თამამისა და პოლუსად წარმოჩენის შესაძლებლობა. განსხვავებით იმ წლებისგან, ბოლო სამოთხე წელიწადში, რუსეთი, ახლო აღმოსავლეთით, ფაქტობრივად, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას იწყებს და ახალი სამშვიდობო პლატფორმის შექმნის ინიციატივით გამოდის. რეალურად, ქმნის კიდევ ახლო აღმოსავლეთში ახალ კოალიციას. ეს არის რუსეთის, თურქეთისა და ირანის განაცხადი სამშვიდობო სამკუთხედის

და უსაფრთხოების სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. აღარაფერს ვამბობ პრიმაკოვის დოქტრინაზე, რაზეც რუსეთში სერიოზულად მუშაობენ. ეს გახლავთ ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი. აღარაფერს ვამბობ ვერაზიულ კავშირთან მიმართებით წინააღმდეგულ ნაბიჯებზე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მსოფლიო ერთობლარული აღარ არის. თავისთავად ცხადია, ამ ყველაფერს ლაიტმოტივად გასდევს აშშ-ში მიმდინარე პროცესები — პრეზიდენტი, ადმინისტრაცია და მასთან დაპირისპირებაში მყოფი კონგრესის ნაწილი; იმპიჩმენტის პროცედურების დაწყება ტრამპის წინააღმდეგ და მისი აშკარად გამოკვეთილი კონსერვატიული ხასიათი, რაც ვერანაირად ვერ ჯდება აქამდე გაბატონებულ ნეო-ლიბერალურ პარადიგმაში, რითაც იმართებოდა არამხოლოდ აშშ, არამედ საიდანაც ხდებოდა გენერირება შემდგომში სახელისუფლებო დირექტივებისა სხვადასხვა კოლონიებში სხვადასხვა კონტინენტებზე, მათ შორის, საქართველოში, რომელიც ბუნებრივად, გამოწვევის არ იყო. ის რომ ჩვენი ქვეყანა სოროსის ფონდიდან იმართებოდა და იგი თავად იყო აგენტი ამ ნეო-ლიბერალური ინტერნაციონალიზა, ეს ცხადზე ცხადია. ბუნებრივად, ასეთი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის პირობებში საქართველოს არანაირი შანსი არ გააჩნდა ამ ვითარებისგან თავი დაეღწა და მას შეწინააღმდეგებოდა მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება დღემდე ინარჩუნებს კონსერვატიულ განწყობებს. თქვენ, ხედავთ, რომ ნეო-ლიბერალების ერთი მუჷა ხროვა, რომლებიც გაბატონებულნი არიან მედიაში, ხელისუფლებებში, ოპოზიციაში, ყველაზე უფრო რესურსულები არიან. ისე აჩნდნენ თავს, თითქოს, ეს, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის უზუნაესი ნებაა. სინამდვილეში, ეს ასე არ იყო. რისი ემინით ყველაზე მეტად პრო-დასავლელ დამოუკიდებელი თამამის და ამ პროცესში საქართველოს მონაწილეობის როგორც მყარი ხიდის ფუნქციის შემსრულებლისა დასავ-

ლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ანუ დამოუკიდებლობის პროცესში გარკვეული როლის მინიჭების. თაკო, თქვენ, კარგად ხედავთ ერთ ფაქტს, რომელზეც სამწუხაროდ, არავინ მსჯელობს და არც ცდილობენ აქცენტის გაკეთებას. ეს გახლავთ საქართველო-ბელორუსის და ბელორუსი-რუსეთს შორის დამოკიდებულება და ტრანზიტულობიდან გამომდინარე, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის პერსპექტივები. რომ 20018 წლის აგვისტოში ძალაში შევიდა ჩარჩო-ხელშეკრულება საქართველოსა და ბელორუსს შორის, რომლის თანახმადაც ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურებიც კი თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე — საიდუმლო ინფორმაციის გაცვლა-სა და მის შენახვაზე, რასთან დაკავშირებითაც კანონი არსებობს. სწორედ ამ კანონიდან გამომდინარე, ჩარჩო-ხელშეკრულება ითვალისწინებს ამგვარ თანამშრომლობას, რაც ხელმოწერილია და ძალაშია შესული. ამავე დროს 20 წელი გავიდა, რაც ბელორუსსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას. ეს, 20 წლის თავზე ითვალისწინებდა ამ ორი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სამოკავშირო სახელმწიფოებად გადაქცევას, რაც იმას გულისხმობს,

განცხადებებს. ეს არის, აბსოლუტურად, განსხვავებული მესიჯები, რიტორიკა, რომლის მსგავსი აფხაზ პოლიტიკოსებს შორის ჩვენ არ მოგვისმენია. ხედავთ, როგორ იკვრება წრე და როგორი ლოგიკური დაკავშირებები არსებობს ამ პროცესებთან მიმართებით? მაშინ როდესაც საქართველოს ისტორიაში დგება ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო მომენტი, მაშინ როდესაც ჩვენ გვყავს პიროვნება, რომელსაც არცერთ ეპოქაში არასდროს ჰქონია შეხება ქართულ ბინძურ პოლიტიკასთან, ვგულისხმობ, პრემიერ-მინისტრს გახარაას, მაშინ როდესაც ვინ თუ არა გახარაა უნდა იყოს მომლაპარაკებელი პირთა შორის ავანგარდში, სწორედ ახლა იწყება ყველაზე უფრო გააფრთხილებული ბრძოლა მისი მისამართით და ზეწოლა ბატონ ბიძინა ივანიშვილზე. სწორედ ივანიშვილის პირადი ხელშეწყობით მოხდა გახარაას დაწინაურება და რა თქმა უნდა, ეს ნაბიჯი ძალიან სერიოზულ გმირობას მოითხოვდა ვინაიდან მოგეხსენებათ: 20 ივნისი და გაეროს დამის პროვოკაცია იყო დაგეგმილი აქტი იმისთვის, რომ გახარაას შემდგომი წინსვლა შეზღუდულიყო. მის შესახებ დასავლეთში გარკვეული ძალები ფლობდნენ ინფორმაციას იმასთან მიმართებით, რომ ამ ადამიანს

ეროვნული ინტერესების გამტარებლები იყვნენ. იმდენი მოახერხეს, 20–22 პარტია ერთად დააჯგუფეს და ფორმალურად, საარჩევნო სისტემის წინააღმდეგ გამოიყვანეს, მაგრამ სინამდვილეში, მათ გახარაას პიროვნების მოჭყლეტვა სჭირდებოდათ. მათ ძალიან კარგად იცნან, რომ თუკი გახარაა გადადგება, ეს „ქართული ოცნებისთვის“, საკუთარი თავისთვის ნასროლი საკონტროლო ტყვია იქნება. დავუბრუნდეთ, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. ყველანი ვთანხმდებით, რომ პროცესი ჩიხიდან დაძვრას მოითხოვს. დროა, კარასინ-აბაშიძის შეხვედრების და შედეგის ფორმატის მიღება, მაღალი დონის ურთიერთობები დაიწყო. ეს, პირ-

დიდი ხანია დაწყებულია. ტრამპმა შემთხვევით როდი თქვა: ირანი ყოველთვის აღწევდა წარმატებებს დიპლომატიურ ველზე და ამავე დროს მარცხს განიცდიდა ომებში. დიპლომატიის წარმატებასთან დაკავშირებული ხაზგასმა იმას ნიშნავს, რომ ირანს აქვს სავაჭრო აშშ-სთან. მისთვის ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი საგანი კავკასიის რეგიონში გარკვეული დომინაციის მოპოვების შესაძლებლობაა, რაზეც რუსეთიც აცხადებს გარკვეულ პრეტენზიებს. დიახ, აშშ-ს მხრიდან სწორედ 85 მილიონიანი ირანის გამოყენებით უნდა მოხდეს რუსეთის ინტერესების გადაკვეთა და ამ შემთხვევაში საქართველო გაცვლითი მონეტის როლშია. ირანს ძალიან

ვიღმა. მის დროს ეს რიცხვი დაუჯერებელ ციფრებს აღწევს — მას 84% საგამონაკლისო წესით აქვს მოქალაქეობები მინიჭებული. მე და ჩემმა მეგობრებმა 2018 წლიდან დაიწყოთ პერმანენტული აქციები, ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ირანთან უვიზო რეჟიმის დასრულება. უვიზო რეჟიმის საეიზოთი ჩანაცვლება იქნებოდა ლოგიკური გაგრძელება ქართულ-ირანულ ურთიერთობებში, მით უმეტეს, იმის ფონზე, როცა სწორად ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ხდება ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ტრანსპორტირება და ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყველა ანგარიშში ხვდება საქართველო როგორც ტრანზიტული



რომ მათ, მთელი რიგი მიმართულებით, საერთო საკანონმდებლო სივრცე უნდა ჰქონოდათ. ანუ, რუსეთსა და ბელორუსს შორის იქნება სახელმწიფო ინტეგრაციული პროცესები. ეს იმ პირობებში, როდესაც ბელორუსი ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას 1991 წლის გაეროს მიერ აღიარებული პირობით, ხოლო რუსეთს ცალმხრივად აღიარებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალი, რაც გულისხმობს, რომ საქართველო თავის ტერიტორიების 1/5-ს ვერ აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, წარმოვიდგინოთ, სამართლებრივი და პოლიტიკური ლოგიკა. თუ საქართველო და ბელორუსი ხელს აწერენ ჩარჩო-ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, თუკი ბელორუსი და რუსეთი ხელს აწერენ ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებულ სახელმწიფო დოკუმენტაციას და ბელორუსი ცნობს საქართველოს ინტეგრაციული მთლიანობას, აჩვენს თუ არა ეს პირდაპირ სივრცის იმისთვის, რომ საქართველო და რუსეთი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხებთან დაკავშირებულ მწვავე პრობლემაზე აუცილებლად მოილაპარაკებენ?! ამის ფონზე, დავაკვირდეთ სერგეი შამბას და სხვათა მიერ გაკეთებულ

ჰქონდა რუსურსი ქართულ-რუსულ პრობლემატურ ურთიერთობებში ძალიან სერიოზული საკითხები სწორედ ქართული მხრიდან დაემართა. სწორედ ამიტომაც მოხდა გაეროს დამის, სწორედ ამიტომაც გაკეთდა განცხადებები ბრიტანეთის პარლამენტის წარმომადგენლობით პალატაში, რომ თუკი საქართველოს მთავრობა მხარს არ დაუჭერდა გეი-აღლუმის ჩატარებას, მაშინ ბრიტანეთი ქართულ რელისუფლებას გარკვეულ სანქციებს დაუწესებდა. ეს გახარაას მისამართით პირდაპირი მუქარა იყო. ის რომ აშშ-ს საელჩო საქართველოში აკეთებდა განცხადებას, რომ ისინი ყურადღებით დააკვირდებოდნენ 17–20 ივნისის გეი-აღლუმის მონაწილეთა უფლებრივ მდგომარეობას, ესეც გახარაას მისამართით პირდაპირი გაფრთხილება იყო. მიუხედავად ამისა, პრემიერ-მინისტრმა მაშინ უარი განაცხადა გეი-აღლუმის ჩატარებაზე მხარდაჭერისთვის და მხარი ქართულ საზოგადოებას, ეკლესიას დაუჭირა. ეს იყო ნამდვილად იმ წითელი ხაზების გადაჭრა, რასაც როგორც წესი, ძლიერი დასავლური ნეო-ლიბერალური ოჯახი არავის პატიობს. სწორედ ამიტომაც ყველა მის წინააღმდეგ განაწყვეს, ამხედრეს, მათ შორის, ისეთი ძალებიც, რომლებიც გვეგონა, რომ

ველ რიგში, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებში შედის. გარკვეული წყაროების მიერ ინსპირირებული ქართულ-რუსული კონფლიქტი არ უნდა გამოვიდეს ჩიხიდან იმიტომ, რომ ეს მავანის ინტერესებში არ შედის. იმიტომ, რომ ამ კონფლიქტმა, საბოლოო ჯამში, გარკვეული გავლენა უნდა იქონიოს იმ ვაჭრობაზე, რითაც რუსეთმა მსოფლიოში გარკვეული პოზიციები უნდა დათმოს. საქართველო არის რუსეთის ფედერაციის სამხრეთი კარიბჭე. ამიტომ, რაც უფრო მეტი პროვოკაციული ქმედებები განხორციელდება, მით უფრო რეალისტური იქნება, გარკვეული მიმართულებით, რუსეთის ფედერაციის დასუსტება და ამავე დროს, შესაძლო, რეალური საფრთხეების პირობებში მისი გამოცდა. ეს ყველაფერი საქართველოს ხარჯზე ხდება.

— რას გვეტყვით, აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობის შესახებ?

— აშშ-ს მხრიდან ღიად განხორციელდა ყველაზე უფრო გავლენიანი პირის ლიკვიდაცია, რომელიც ირანის ისლამური რევოლუციის მონაპოვრის მთავარ მცველად ითვლებოდა. მისი ლიკვიდაცია, ფაქტობრივად, აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობის ახალი რეალობის შექმნაა, რაც

სერიოზული ინტერესები გააჩნია საქართველოს და ზოგადად კავკასიის რეგიონში. მას აქვს ძალიან სერიოზული პრობლემა სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით 2013 წელს მე, პირადად შევხვედი ირანის საელჩოს კულტურის ატაშეს. მან პირდაპირ განაცხადა: სასურსათო კრიზისი კარს გვიკაკუნებს და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, ჩვენს სამეზობლო ქვეყნებში, საინვესტიციო გარემო ვეძიოთ, მათ შორის, საქართველო ყველაზე უფრო მიმზიდველიაო. დღეს, საქართველოში, ქართლ-კახეთიდან აჭარის ჩათვლით, ირანის მოქალაქეებზე 134 ათასი ბინაა გაყიდული. ასევე, წარმოდგენილია დიდია რიცხვი ფიქტიური ქორწინებების, რითაც ხდება ბინადრობის უფლების მინიჭება, შემდგომში ბიზნესის დარეგისტრირება და რამოდენიმე წელიწადში მოქალაქეობის მიღება. თქვენ იცით, რომ ირანელი დევნილებების მხრიდან თბილისის რამოდენიმე რაიონში, მთელი მშენებარე კორპუსების შექმნა ხდება, რაც საკუთარ მიწაზე ქართველი კაცის გაუცხოების პოლიტიკაა, რომელიც ცოტა ხანში, ალბათ, მდგომარეობს ირანის ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე? — რა თქმა უნდა, არა. ეს არის აშშ-ს მხრიდან ხელდასმული პოლიტიკა. ეს არის ის ინტერესი, რომელსაც ირანი ატარებს — ვაჭრობის პროცესში ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად რჩება, რომ მას აშშ-მ ხელი არ შეუშალოს. სააკაშვილის მმართველობის ბოლო თვეს 2012 წლის სექტემბერში, მან საგამონაკლისო წესით 2500 თურქს მისცა საქართველოს მოქალაქეობა. ანალოგიური გააკეთა მარგველაშ-

ქვეყანა ნარკოტიკების მოძრაობის ავლანეთიდან ირანის გავლით და ევროპის მიმართულებით საქართველოზე გადავლით. ბოლოს დაკავებული 300 ნარკომოვარგრიდან ნახევარზე მეტი ირანის მოქალაქეა, რომლებიც საქართველოში კარგად ახდენენ ადაპტირებას. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ვერ ახერხებს ირანთან საეიზო რეჟიმის შემოღებას. ეს განგაშის ზარის დასარისხებული გარემოებაა. სწორედ ამაში იკვეთება ჩვენი კოლონიალისტური დამოკიდებულება, ვასალური ხვედრი დასავლელი პარტნიორების მხრიდან, რომლებიც ჩვენ განგვიხილავენ როგორც დიდ გეოპოლიტიკურ პროცესში გაცვლითი შურდის როლში. ამიტომ გვჭირდება დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება, თუნდაც, იმ მიმართულებით, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყაროს, რათა მოხდეს რეგიონში რეალური ძალთა ბალანსი და ქვეყანამ შეძლოს დამოუკიდებელი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესების მართვა. ამ პროცესში გახარაას როლი გადამწყვეტად მესახება. ჩვენ, უდაოდ უძღუნით ვართ წინააღმდეგობა გაუწვიოთ იმ თავსმოხვეულ დირექტივებს, რასაც წლების მანძილზე საკუთარი ეროვნული ინტერესის წინააღმდეგ განხორციელებდით. რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენს შურს უკან ძალა არ იდგა. თუ ეს ძალა, უცებ, გამოჩნდება, რა თქმა უნდა, დასავლეთი შემოვიღებთ მას უკვე აღარ ექნება პერსპექტივა ხელაღებით და უსიტყვოდ შეგვარსებდნენ თავს მოხვეული დირექტივა, რაც პირდაპირ ისახავს მიზნად ამ ქვეყნის მოსახლეობისგან დაცლას.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ფსიქოლოგიური

ისეთმა რა ფრინველმა გადაუფრინა საქართველოს – „გუბულის ბუღის“, რომ ბიჭების მკვლელობიდან თავი ვერ დაბვიღნავია?



ერთი უცხოური ფილმის სიუჟეტი მახსენდება: ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები მომსახურე პერსონალს მძევლად აიყვანენ და თვითონ დაუწყებენ მკურნალობას.

მათი „მკურნალობის“ მიზანიც იგივეა, რაც მედპერსონალის იყო – „მოაჭკვიანონ“ „პაციენტები“, რომლებსაც, მათი აზრით, ფსიქიკური პრობლემები აქვთ და არაადექვატურად, ანუ ისე არ იქცევიან, როგორც მათი ახლად გამოჩევილი „ექიმები“.

ჭკვიანებისთვის თუ გიჟები არიან ფსიქიურად დაავადებულები, გიჟებისთვის ჭკვიანები არიან შეურაცხადები.

ჩვენი საბრალო საქართველოს ამბებს რომ ვაკვირდები, ჩვენც, მგონი, გიჟებმა აგვიყვანეს მძევლად 2003 წელს და იმის შემდეგ „გვმკურნალობენ“ და „გვმკურნალობენ“.

მკურნალობის ცხრაწლიანმა კურსმა, მათი აზრით, ბოლომდე ვერ განგვეკურნა და ახლა რვაწლიანი პაუზის შემდეგ ხელახლა უნდათ „გვმკურნალონ“, რომ მათი ხელახლა ხელისუფლებაში მოსვლის იდეა როგორმე მოგვეწონოს.

ღია სტაციონარ „მთავარი არხიდან“, დიდიდან საღამომდე „მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით“ დაკომპლექტებული კონსილიუმი უფასო კონსულტაციებს გვიწევს და ჰაერისგან „დამზადებულ“ უფასო აბებსაც გვირიგებს, რომელიც ჭკუასუსტობას შეცვლის თურმე.

ფსიქოკლინიკა „მთავარის“ მთავარი ადმინისტრატორი და მთავარი სპეციალისტი, „დოქტორი“ ნიკუტა, რომელსაც სხვა სპეციალისტების აზრით, თავადაც კარგა გვარიანად აქვს კრამიტი დაცურებული, ჯიუტად ცდილობს ჩვენს მორჯულებას, ანუ ჩვენს ჭკუაზე მოყვანას და ამასთან ერთად, შიგადაშიგ, დედასაც გვაგინებს, რომ უფრო კარგად შევიდეს ჩვენს გაყინულ ტვინებში მისი ბრძნული შეგონებანი.

როგორც ვთქვით, „დოქტორი“ ნიკუტა, დიდი ალბათობით, თვითონ არის გიჟი, მაგრამ გიჟები ისინი ჰგონია, ვინც მის ნაბოღვარს ყურს არ უგდებს და სხვა მხარისკენ იყურება.

ნიკუტას კონსილიუმი ბევრი გიჟი იღებს მონაწილეობას, მაგრამ ერთი გიჟი მაინც განსაკუთრებული სიგიჟეებით გამოირჩევა და სტატუსიც განსაკუთრებული აქვს – პრეზიდენტი!

„– ვერავენ წარმოიდგენდა, ეგ თუ პრეზიდენტი გახდებოდა.

ზურგს უკან დასცინოდნენ და გიჟს ეძახდნენ. მართლა გიჟივით იქცეოდა, რაღაცნაირი არასერიოზული და არაპროგნოზირებადი საქციელები ჰქონდა.

ერთხელ სამთავრობო სხდომაზე ერთ საკითხთან დაკავშირებით წავკამათდი. მოგვიანებით დამირეკა, ყვიროდა, ილანძლებოდა, იმუქრებოდა.

– შენ ვის უყვირიხარ. შენი თავი პრეზიდენტი ხომ არ გონია-მეთქი, ვუთხარი.

– კი არ მგონია, პრეზიდენტი ვიქნები სულ მალე და მაგ პოსტიდან კინწისკვრით გაგაგდებო – მითხრა.



სიცილი ამიტყდა – შენ იქნები პრეზიდენტი? შენ გახდები პრეზიდენტი და მე გაგაგდებ? კარგი რა, ნუ მაცინებ.

– დიახ, დიახ, სულ მალე პრეზიდენტი გახდები და მერე ვნახოთ, ვინ გაიცინებსო, – მითხრა და ყურმილი დამიხეთქა.

სულ მალე არა, მაგრამ ორ წელიწადში ის მართლაც გახდა პრეზიდენტი და მოხსნითაც, ალბათ, პირველს მე მომხსნიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მე უკვე წამოსული ვიყავი იმ თანამდებობიდან.

ყველაზე შემადრწუნებელი და გამაოგნებელი ამ ამბავში, იცით, რა არის? სააკაშვილმა ორი წლით ადრე იცოდა, პრეზიდენტი რომ გახდებოდა. ის ამასი ღრმად იყო დარწმუნებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ვიდაცები უკვე ამზადებდნენ საპრეზიდენტოდ და უკვე არსებობდა მკაცრად გაწერილი გეგმა, როგორ უნდა განვითარებულიყო მოვლენები და რას რა უნდა მოჰყოლოდა.

საქართველოში ჭკვიანი და გონებადამჯდარი ადამიანების

მეტი რა არის, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატად მაინც-დამინც ეს „ვანკა დურაჩოკი“, ეს ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანი ამოირჩიეს, რადგან იცოდნენ, რომ მას უფრო ეფექტურად გამოიყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად.

ყველაფერი წინასწარ გათვალეს და აწონ-დაწონეს, გაითვალისწინეს მისი ხასიათის ყველა ნიუანსი, ყველა შტრიხი და 2008 წელს, როცა დრო დადგა, ამ შლევს საკუთარი ქვეყანა საკუთარი ხელით დაანგრევინეს, მანამდე კი უმთავრესი ეკონომი-

კიდევ ერთი დეტალი: ეს კაცი, ჩვენ ჭკუამზიარული ტაკი-მასხარა და დებილი რომ გვეგონა, როგორც კი ძალაუფლება აიღო ხელში, მყისვე იქცა ურჩხულად, დესპოტად, დაუნდობელ, სისხლისმყოფარულ, ვერაგ მონსტრად.

ღმერთმა დაგვიფაროს, ის უკან რომ მობრუნდეს, სისხლის ტბები დადგება საქართველოში.

გული მწყდება, ქართველი ხალხის ნაწილი რომ ვერ ხვდება, სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ სახით, რა ეროვნულ უბედურებასთან აქვს საქმე. არადა, მისახვედრი, გასაშიფრი

კური ბერკეტები დაათმობინეს.

რა პროდასავლური და რისი პროდასავლური – წმინდა წყლის რუსული პროდუქტია, რუსული სპეცსამსახურების ლაბორატორიაში გამოყვანილი ზომბია ეგვეც და მისი თანამოაზრეებიც.

ახლა უკან უნდათ მოაბრუნონ, რომ ბოლომდე განახორციელონ თავიანთი გეგმა, რომელსაც არც მალავენ – ქართული სახელმწიფოს დაშლა!

ხომ გაქვთ წაკითხული მათი მთავარი იდეოლოგიის ალექსანდრ დუგინის კონცეფცია, თუ როგორ უნდა მოხდეს ქართული სახელმწიფოს დემონტაჟი.

ნაწილი ამ პროექტისა, უკვე განხორციელებულია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოდან ჩამოშორებით, დანარჩენ რეგიონებსაც „მიხედავენ“ ნელ-ნელა.

ისე გათავზენდენ, კინალამ კგბ-ს მაღალჩინოსანი ვაშაძე დაგვისვებს პრეზიდენტად.

სხვათა შორის, რომ იცოდეთ, არც ვაშაძეა ფსიქიურად მთლად ნორმალური და ჯანმრთელი.

და ამოსახსნელი არც არაფერია – ყველაფერი ზედაპირზე დევს, ყველაფერი სახეზეა.

ინაუგურაციის შემდეგ დამირეკა: – ახლა თუ ხარ სიცილის ხასიათზე? – მკითხა.

ამას რომ მეუბნებოდა, თან იცინოდა თავისი უცნაური, დემონური სიცილით, თითქოსდა ქვესქნელიდან ამოხეთქილი ხმებს რომ აყვლებს ზედ.

2004 წლის შემდეგ ჩემთვის ყველა კარი დაიკეტა...

სული მიდგას, თორემ დიდი ხანია მკვდარი ვარ“.

ეს ამბავი ერთმა ადამიანმა მიამბო, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ წინა წლებში ძალიან მაღალ თანამდებობას იკავებდა და რომელმაც ზუსტად, დოკუმენტურად იცის სინამდვილეში რას წარმოადგენს სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“.

ამ ადამიანთან ერთად მათი ბნელი წარმომავლობის ისტორია იციან სხვებმაც, მაგრამ მერე რა, რომ იციან – ისინი მაინც დემოკრატიის მეტაბარაზტრეებდ ითვლებიან.

დემოკრატიის მებაირახტრეები ჯოჯოხეთის მაშხალით ხელში — აი, ის გამოგნებელი სურათი, რასაც ოც წელზე მეტია საქართველო უყურებს.

გიჟები გიჟებად, მაგრამ ამ ჭკვიანებს რა სჭირთ, ასე ადვილად რომ ექვემდებარებიან გიჟების მიერ დაწესებული მკურნალობის მეთოდებს და ურას და ვაშას ძახილით რომ მისდევენ უკან შეურაცხად ლიდერებს.

როგორც ამბობენ, 400 000-მდე მყარი და სტაბილური მხარდაჭერი ჰყავთ, თუმცა ეს ისედაც საგანგაშო ციფრი ზოგჯერ იმატებს კიდევაც და ხან 500 000 ხდება, ხან 800 000-მდეც კი აღწევს.

ასეთი კატასტროფულად მაღალია გიჟების მიერ „ნამკურნალებითა“ და „დაჭკვიანებულთა“ რიცხვი და თუ ასე გაგრძელდა, ეს რიცხვი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

საკითხი იმდენად დელიკატური და სპეციფიკურია, სჯობია ამ თემაზე ფსიქიატრებმა და ფსიქოლოგებმა იმსჯელონ, თუმცა ისინი რატომღაც მრავალმნიშვნელოვნად დუმან და შორიდან მშვიდად უყურებენ, როგორ „კურნავენ“ მათი პაციენტები მძევლად აყვანილ ქვეყანას.

მსგავსი ფსიხოპიდეშია მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა. იგივე უბედურება ტრიალებდა გასული საუკუნის 30-იან წლებში, შუაგულ ევროპაში, გერმანიაში, თუმცა გერმანელებს, ჩვენგან განსხვავებით, დამნაშავე ნაცისტებთან კოაბიტაცია კი არ შეუკრავთ — დამნაშავეები გაასამართლეს, ნაცისტური პარტია კი სამუდამოდ აკრძალეს.

გერმანელებს დღემდე რცხვენიათ და ეუხერხულებათ, მათი თანდასწრებით ვინმე ადოლფ შიკლერბერის (პიტლერის) სახელს თუ ახსენებს. ჩვენ კიდევ გერცხვენია და გვეუხერხულება კი არა ხარბად ვუსმენთ, რა ინსტრუქციებს მოგვცემს ქართული წარმოშობის ფიურერი კიევიდან, ან რას გვეტყვის ბოკერია ან უგულავა, რომლებიც, როგორც ამბობენ, არც არავისზე ნაკლები გიჟები არიან და არც არავისზე ნაკლები დანაშაულები აქვთ ჩადენილი.

გერმანელებს, ჩვენსავით, თავიანთ პარლამენტში, ანუ ბუნდესტაგში დეპუტატებად კი არ შეუშვიათ ფიურერის თანაპარტიელები და თანამებრძოლები და არც მათთან დამსხდარან საბჭოდ და სათათბიროდ — როგორი სარჩევნო სისტემა უნდა ავირჩიოთ სამომავლოდ.

ისეთმა რა ფრინველმა გადაუფრინა საქართველოს — „გუგულის ბუდეს“, რომ ვერა და ვერ ვთავისუფლდებით გიჟების მძევლობისგან?

ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება, მთელი ქვეყანა ერთ დიდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ იქცეს, სადაც ჭკვიანებისა და ნორმალურებისთვის, უბრალოდ, ადგილი არ დარჩება.

პასტანგ ხარჩილავა

ზარმაა გაზამვა:

ქართველთა და ოსთა შორის უთანხმოება უნდა დასრულდეს!

გვესაუბრება პოლიტიკური პარტია „იბერთა კავშირის“ ხელმძღვანელი ზარმაა გაზამვა-ლაფაჩი.

— ქალბატონო ზარმა, როგორც ვიცო, თქვენ ცხინვალელი ხართ და დღეს, როგორც დევნილი, ისე, ცხოვრობთ საქართველოში. როდის გადაწყვიტეთ პარტიის შექმნა?

— მე და ჩემი თანამოაზრეები ამ ორგანიზაციის შექმნაზე დიდი ხანია ვფიქრობთ. იდეა ჩემს ოს და ქართველ მეგობრებს შორის დიდი ხანია არსებობს და ჩვენი შეხვედრების ძირითადი სასაუბრო თემა ყოველთვის იყო ჩვენი შეკვრა ერთ ორგანიზაციად.

დარწმუნებული ვართ, ხვალ

გაიხსნას თანადროვე საავადმყოფო და ა.შ. გეგმაში გეგონდა და გვაქვს ახლაც, რეგიონში აშენდეს ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა. ყველაფერზე ვფიქრობთ, ვმსჯელობთ, მაგრამ, რა გითხრათ? პარტია შარშან ზაფხულში ჩამოვაყალიბეთ და ვიმედოვნებთ, ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ.

ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი წიბატაური დეკემბრის ბოლო რიცხვებში ახალგორში გადავიდა. მას აქვს ამის უფლებამოსილება. აქვთ იქაური პასპორტიც იქ შეხვდა იქაურ მაცხოვრებლებს. როგორც გვითხრა, ისინიც მოწადინებული არიან ურთიერთობის განახლების. ვნახოთ, იქნებ ჩვენ უფრო მეტი გავა-

ვიდა ცხინვალისა და წლების განმავლობაში ჩვეულებრივად დავდიოდით იქ, 2008 წლამდე. იმ ომის შემდეგ ცხინვალში აღარ ვყოფილვარ. თუმცა იქიდან ჩამოდიან ჩვენი ნათესავები, მეგობრები.

— და რა განწყობაა მათში. რას გეუბნებიან თქვენი ოსი ნათესავები პირისპირ რომ რჩებით? — ყველას უნდა შერიგება. მშვიდობა და ერთად ყოფნა.

სხვათა შორის, როგორც მიყვებიან, ცხინვალში არავის არ სჯეროდა, იმ საშინელ ომს თუ დაიწყებდა სააკაშვილი ოსების წინააღმდეგ, ამიტომაც ძალიან ბევრი ოსი არ წავიდა ჩრდილოეთ ოსეთში. ჩვენ ქართველები ომს არ გამოგვიცხადებენო, ამბობდნენ, მაგრამ ტრაგედია მოხდა. ბევრი



ტით ვეგემავთ შევხვდეთ მთავრობის წარმომადგენლებს, ბატონ პრემიერ-მინისტრს, მმართველი პარტიის ხელმძღვანელობას, რომ გავაცნოთ ჩვენი გეგმები. გვინდა შევხვდეთ, ასევე, ბიძინა ივანიშვილს. მისი ყველა გამოსვლიდან ჩანს, რომ მას უნდა მშვიდობა, ჩვენც გვინდა მშვიდობა. ჩვენი მისწრაფებები ერთმანეთს ემთხვევა.

— ქალბატონო ზარმა, 2008 წლის ტრაგედიამ გადააწყვეტინათ პოლიტიკურად გააქტიურებულიყავით?

— სრულიადაც არა. 2003 წელს ჩვენ შევექმნით „ქართულ-ოსური შერეულ ოჯახთა კავშირი“. მაშინ ძალიან დაგვეხმარა ბატონი გოჩა ზასოხოვი. იმ ხანებში მისი თანადგომით ცხინვალში ჰუმანიტარული დახმარებით სავსე მანქანები გავაგზავნეთ.

კიდევ გავიმეორებ: ძალიან ცუდია, რაც მოხდა, მაგრამ შევაქციოთ ზურგი წარსულს, ოჯახშიც ჩხუბობენ დღემამდის. ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს და ამ ჩვენს სამშობლოში ერთად უნდა ვიცოცხლოთ. ბოლოს და ბოლოს ცხინვალის რეგიონში 1200-ზე მეტი უძველესი ქართული ეკლესიამონასტერია. თუ სადმე საქართველო არსებობს, ცხინვალში, სამაჩაბლოში, ძველი დვალეთის ტერიტორიაზეა. ქართველებმა და ოსებმა მშურად უნდა ვიცხოვროთ საქართველოში.

— რა ოსებმა, ქართველებთან ერთად უნდა გაავაგრძელოთ ცხოვრება?

— იმ უბედურებას, რაც მოხდა, ცხინვალელი ოსები სააკაშვილს აბრალებენ. ქართველები მათ არ მიაჩნიათ თავიანთ მტრებად.

ჩვენ უამრავი მომხრე გვყავს და იმ ხალხის ნდობის მანდა-

ირანდა კალანდამი 593 56 11 18



ან ზეგ დევნილები აუცილებლად დავებრუნდებით. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს, საკუთარი წინაპრების მიწის დაივიწყება შეუძლებელია და ეს განცდა თაობიდან თაობას გადაეცემა. მე ცხინვალელი ვარ და მიყვარს ჩემი კუთხე. ყველა დევნილი ასეა. ჩვენ ერთი აზრი და მისწრაფება გვაკავშირებს: ჩვენ გვინდა საკუთარ სახლებში დაბრუნება. ჩვენ გვინდა მშვიდობა. ორგანიზაციაში ვართ, როგორც ოსები, ასევე ქართველები. ვართ ისეთი დედები, რომლებსაც ქართველი შვილები გვყავს და პირიქითაც. წარმოუდგენელია ჩვენს შორის მუდმივი კონფლიქტი და უთანხმოება.

მასსოვს ჩემმა ძმამ ერთხელ თქვა: მე მყავს ერთადერთი დის შვილი და ისიც ქართველი და როგორ უნდა ავწიო ხელი ქართველებზე.

— ორგანიზაციის შექმნის და თქვენი გაერთიანების მნიშვნელობა როგორ წარმოგიდგენიათ?

— პირველ რიგში, ჩვენ გვინდა მშვიდობა, გვინდა მივაწოდოთ ინიციატივები ხელისუფლებას, სხვადასხვა მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, მაგალითად დაიგოს გზები ცხინვალის, ახალგორის, ჯავის მიმართულებით, თანამედროვე დონეზე მოეწყოს წყალგაყვანილობა, აღორძინდეს რეგიონში სოფლის მეურნეობა,

კეთოთ, ვიდრე პოლიტიკოსებმა?! სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვები ძალიან მომეწონა. ამასწინათ მან თქვა: ეს არის საქართველო, ეს კავკასიაა, აქ სხვა ადათია და წესები, ასე ადვილად ვერ შევიცვლებითო.

მართალი თქვა ბატონმა ბიძინამ: ჩვენ კავკასიელები ვართ. წყენა, ჩხუბი, კინკლაობა გვაქვს ერთმანეთთან, მაგრამ მაინც ერთნი ვართ. მეზობლები ვართ, მეგობრები, ახლობლები და ნათესავები.

— რამდენი ხანია, რაც ცხინვალში არ ყოფილხართ?

— ჩვენი ოჯახი ჯერ კიდევ გამსახურდას პერიოდში წამო-

ოსი დაიღუპა იმ ომში, ბევრი ქართველიც. ისინიც ისევე განიცდიან ყველაფერს რაც მოხდა, როგორც ჩვენ, მაგრამ სულ წარსულზე არ უნდა ვილაპარაკოთ. წინ უნდა ვიყურეთ. მესმის, რომ ყოველივე ამის დაივიწყება ძნელია, მაგრამ ცხოვრება უნდა გავაგრძელოთ.

— რა ოსებმა, ქართველებთან ერთად უნდა გაავაგრძელოთ ცხოვრება?

— იმ უბედურებას, რაც მოხდა, ცხინვალელი ოსები სააკაშვილს აბრალებენ. ქართველები მათ არ მიაჩნიათ თავიანთ მტრებად.

ჩვენ უამრავი მომხრე გვყავს და იმ ხალხის ნდობის მანდა-



მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა გავლენები



(გაბრძენიანი, დანაშაფისი
იხ. „სბ“ N1)

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

ზვიად გამსახურდია დაიბადა 1939 წლის 31 მარტს, გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში. ცნობილია, რომ დიდ მწერალს უნდოდა მისი ვაჟი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი გამხდარიყო, მაგრამ ზვიადმა დისიდენტის გზა აირჩია, წერს უცხოური პრესა. ზვიად გამსახურდიამ პირველი არალეგალური ორგანიზაცია 1955 წელს ჩამოაყალიბა სახელწოდებით „გორგასლიანი“ და ემზადებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. 1978 წელს იგი ნობელის პრემიანზე იყო წარდგენილი. 1988 წელს გამსახურდია ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი გახდა, ხოლო მერაბ კოსტავასთან ერთად „ილია მართლის საზოგადოების“ თანათავმჯდომარე. 1990 წელს მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა და გამოაცხადა პოლიტიკა „საქართველო ქართველებისთვის“, რითაც დაუპირისპირდა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, ასევე ჩრდილოეთ ოსეთსა და რუსეთს. გამსახურდიას მმართველობის დროს, საქართველომ იმ საკავშირო რეფერენდუმის იგნორირება მოახდინა, რომელიც 1991 წლის 17 მარტს, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გაიმართა, წერს რუსული მედია და აქვე იმასაც აღიარებს, რომ 1991 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას ინიციატივით ჩატარებული რეფერენდუმის დროს, საქართველოს მოსახლეობის 90%-მა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა ისურვა. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უმაღლესმა საბჭომ ქვეყნის

სახელმწიფო და პოლიტიკური დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ზვიად გამსახურდია ხმათა 86%-ით საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს, თუმცა 1992 წლის 6 იანვარს, სამხედრო გადატრიალების შედეგად დაამხეს და განდევნეს ქვეყნიდან. გამსახურდიამ ოჯახთან და მომხრეებთან ერთად დატოვა თბილისი და საქართველოც. დევნილი პრეზიდენტი პირველი ათი დღის განმავლობაში სომხეთში იყო, შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. როგორც ამბობდნენ სომხეთის მაშინდელი ხელისუფლება ზვიად გამსახურდიასა და მისი თანმხლები პირების პუტჩისტებისთვის გადაცემას აპირებდა, მხოლოდ ჩეჩნეთის ლიდერის ჯოჰარ დუდაევის მუქარამ ააღებინა ხელი ასეთ სამარცხვინო და არაადამიანურ განზრახვას სომხეთის „ნადისიდენტარ-კომანისტ“ პრეზიდენტსო. გამსახურდიამ მიიღო ჯოჰარ დუდაევის მიწვევა და ჩეჩნეთში გადავიდა. 1991 წლის 22 დეკემბერს დაწვეული შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად, რასაც „თბილისის ომი“ უწოდეს, 1992 წლის 6 იანვარს მარტო ეროვნული ხელისუფლება და არჩეული პრეზიდენტი კი არ დაამხეს, ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დაქვევა-გაპარტახება, რაც ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის ოკუპაციით დასრულდა. 1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია დასავლეთ საქართველოში ჩაფრინდა, იგი თავისი შეიარაღებული დაჯგუფებებით ცდილობდა ხელისუფლების ძალით დაბრუნებას, მაგრამ დამარცხება განიცადა და იძულებული გახდა აფხაზეთსა და სამეგრელოს ტერიტორიაზე დამალულიყო. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ოფიციალური ვერსიით, 1993 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა,

მისი ცხედარი სოფელ ძველ ხიბულაში, მილიციელებით ალყაშემორტყმულ სახლში აღმოაჩინეს. დევნილი პრეზიდენტის პირადი დაცვისა და სახლის მეპატრონის თქმით, გამსახურდიამ პისტოლეტიდან გასროლით თავის არეში მიიყენა სასიკვდილო ჭრილობა. სხვა ვერსიით, ის შევარდანძის მომხრეებმა მოკლეს. ფაქტია, საქართველოს პრეზიდენტი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა და რომ 31 დეკემბერს მოხდა და ძველ ხიბულაში, ესეც ბურუსითაა მოცული. საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ვერსიითაც, რომელიც ჩატარებული გამოძიების შედეგი ყოფილა, ექს-პრეზიდენტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რამდენად ობიექტური და ამომწურავი გამოძიება ჩატარდა, ეს კიდევ საკითხავია. 1994 წლის თებერვალში, გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნით, ძველ ხიბულაში დაკრძალული პრეზიდენტის ცხედარი გროზნოში გადასვენეს და ქალაქის მთავარი მოედნის სახლოვეს დაასაფლავეს. ჩეჩნეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის საფლავი დაიკარგა და 2007 წელს აღმოაჩინეს. რუსული მედიის ინფორმაციით, ჩეჩნეთის ომის დროს, გამსახურდიას ცხედარი სხვაგან გადასვენეს, რაც მხოლოდ მისმა ოჯახის წევრებმა და ჯოჰარ დუდაევის დაცვის უფროსმა იცოდნენ. პირველი პრეზიდენტის ნეშტზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ქალაქ დონის როსტოვში ჩატარდა, რის შემდეგაც 2007 წლის მარტში ნეშტი საქართველოში გადმოსვენეს და მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დიდი პატივით დაკრძალეს. პირველი პრეზიდენტის ოჯახს (საზოგადოების უმეტეს ნაწილსაც) არ სჯერა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა და თვლის, რომ იგი შევარდანძის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოკლეს. ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებმა, ეჭვები საკავშირის ხელისუფლებასაც გაუჩინა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ „მოიცალეს“ ამ საქმისთვის. 2010 წელს პარლამენტში შეიქმნა დროებითი საგამომძიებო კომისია იმ საკითხების შესასწავლად, რომლებიც პირველი პრეზიდენტის სიკვდილს უკავშირდება. 2011 წლის 22 თებერვალს დაილო დასკვნა, რომლის თანახმადაც, გამსახურდიას გარდაცვალების საქმეში ბევრი კითხვებია, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ოფიციალურ ვერსიას — თვითმკვლელობას. კერძოდ, ის იარაღი, რომლითაც თითქოსდა თავი მოიკლა გამსახურდიამ, ნაპოვნი არ არის, ისევე როგორც ტყვიის გულა და მასრა. იმ ოთახში, სადაც მისი ცხედარი ესვენა და თვითმხილველთა „მტკიცებით“, მან თავი მოიკლა, სისხლის კვალი არ არის აღმოჩენილი. კომისიის ეს დასკვნა და პირველი პრეზიდენტის ოჯახის მიმართვა გახდა სს-ის საქმის ხელახლა აღძვრის საფუძველი

განზრახ მკვლელობის ბრალდებით, უკვე „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს, კერძოდ, 2015 წლის ივლისში. ძიება დღემდე გრძელდება, თუმცა შედეგების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან 24 წლის შემდეგ, მოულოდნელად ახალი დეტალები ამოტივტივდა. პირველი პრეზიდენტის ყოფილმა მკვლელმა ბადრი გოგელაშვილმა სკანდალური განცხადება გააკეთა, იგი ამტკიცებს, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს და მერე მიიტანეს მისი ცხედარი სოფელ ძველ ხიბულაში. გოგელაშვილმა „სკანდალური“ განცხადება იმჯერად ნაპროკურორალ გვარამიას „გამგებლობაში“ მყოფი „რუსთავი-2“-ის ეთერით გააკეთა. იგი თავად არ ყოფილა პრეზიდენტის გარდაცვალების თვითმხილველი, იგი იმ პერიოდში ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში იმყოფებოდა. გოგელაშვილს გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებზე თურმე მამა ბასილ მკალავიშვილი მოუყვა, რომლის თანახმად ყოფილა მხედრიონელ ვინმე გიორგაძე. გოგელაშვილი მამა ბასილის მონაყოლზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ ძველ ხიბულაში, ზვიად გამსახურდიას ახლო გარემოცვამ მისი ცხედარი მიიტანა და დაასაფლავა. ამ ვერსიას კატეგორიულად ეწინააღმდეგება კარლო ლურჯაია, რომლის სახლშიც, ოფიციალური ინფორმაციით ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. ლურჯაია აცხადებდა, რომ, როცა ის ოთახში შევიდა ბატონი ზვიადი ისევე ცოცხალი იყო. გონება დაკარგე, როცა გონს მოვედი, იგი ჯერ კიდევ სუნთქავდა და ჩემს ხელელებზე დალია სული, თუმცა ლურჯაიამ იქვე აღნიშნა, რომ იარაღი არც გამსახურდიას ხელში დაუნახავს და არც მის სახლოვეს. რაც შეეხება პირველი პრეზიდენტის ოჯახს, მისი შვილები კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები უკმაყოფილო არიან გამოძიების მიმდინარეობით, „გაყინულად“ მიიჩნევენ და რატომ. „გამომძიება არასწორად

მიდის, მოწმეები რაღაცას მალავენ, სახელმწიფოს ვალაა — გამოძიების ბოლომდე მივყავა, მაგრამ ჩვენ ამის პოლიტიკურ ნებას ვერ ვხედავთ“, აცხადებდა კონსტანტინე გამსახურდია. ოჯახი სარჩელს ამზადებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარსადგენად, რომ სტრასბურგიდან დაამტკიცონ პირველი პრეზიდენტის მკვლელობა. ცოტნე გამსახურდიას განცხადებით, ხსენებული სარჩელის მოზადებას პროკურატურის ქმედებები ართულებდა, ოჯახის ადვოკატებს უფლებას არ აძლევდნენ, რომ საქმის მასალები თან წაიღონ, მათ პროკურატურაში უწვევთ საქმის 18 ტომის შესწავლას.

ჩიხნეთის პირველი პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი

ჩეჩენი პოლიტიკური მოღვაწე, 90-იანი წლების ჩეჩნეთის რუსეთიდან გამოყოფის მოძრაობის ლიდერი, თვითგამოცხადებული ჩეჩნეთის რესპუბლიკა-იჩქერიის პირველი პრეზიდენტი (1991–1996 წლის 21 აპრილამდე), საბჭოთა კავშირის პერიოდში ავიაციის გენერალ-მაიორი ჯოჰარ დუდაევი ოფიციალური მონაცემებით დაიბადა 1944 წლის 15 თებერვალს დღევანდელ აჩხოი-მარტანის რაიონში, ჩეჩნეთის რესპუბლიკა. 1996 წელს მას იჩქერიის გენერალისიმუსის წოდებაც მიუღია. მისი დაბადებიდან რვა დღის შემდეგ, დუდაევის ოჯახი ყაზახეთში, პავლოდარის ოლქში გასახლეს, თუმცა ამ ინფორმაციას მოწინააღმდეგეები ყავს. ოპოზიციური პრესა წერდა, ჩეჩნეთისა და ინგუშების მასობრივი გასახლება 1944 წლის თებერვლის დასაწყისში მოხდა, ასე რომ, დუდაევის ოჯახი გადასახლებული არ ყოფილა, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ ჯოჰარის მამა მუსა (პროფესიით ვეტერინარი), მჭიდროდ თანამშრომლობდა „ენკავედესთან“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი). ჯოჰარ დუდაევი ექვსი წლის იყო მამა რომ მოუკვდა, რაღაც პერიოდის



შემდეგ კავკასიიდან გადასახლებულები ქალაქ ჩიმკენტში გადაიყვანეს, 1957 წელს დუდაევიძის ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა გროზნოში დასახლდა. ჯოჰარმა 1960 წელს ჩრდილო ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ მეორე წელს დედისგან მალულად ტამბოვში გაემგზავრა და უმაღლეს სამხედრო-საავიაციო საწავლებელში მოეწყო, სადაც სამხედრო მფრინავებს ამზადებდნენ. იმ პერიოდში ჩეჩნები ხალხის მტრებთან იყვნენ გათანაბრებული, ამიტომ დუდაევიძის ტყუილის თქმა მოუხდა, რომ თითქოს ოსი იყო, მაგრამ, როცა ფრიალებზე დაამთავრა სასწავლებელი, მოითხოვა საბუთებში მისი ნამდვილი ეროვნება ჩაეწერათ.

1987–1991 წლებში ჯიჰარ დუდაევი ტერნოპოლის (დასავლეთ უკრაინა) მძიმე ბომბდამშენი დივიზიის და ესტონეთის ქალაქ ტარტუში განლაგებული სტრატეგიული ობიექტის უფროსი იყო. 1988 წელს, საბრძოლო გაფრენა განახორციელა ავღანეთის დასავლეთ რაიონებში მძიმე ბომბდამშენი და მოწინააღმდეგის პოზიციების ე.წ. ხალიჩისებრი დაბომბვა მოახდინა, მაგრამ დუდაევი ყოველთვის უარყოფდა იმ ფაქტს, რომ აქტიურად მონაწილეობდა ისლამისტების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში, წერს რუსული მედია. ვილნიუსში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მან ესტონეთის რაიონები განაცხადა, რომ თუ საბჭოთა ჯარისკაცებს ესტონეთისკენ გამოუშვებდნენ, მათ საპაერო სივრცეს ჩაუკეტავდა და არ შემოუშვებდა. 1997 წლის იენისში ტარტუს სასტუმროს შენობის კედელზე ჯოჰარ დუდაევის შემორჩენილი დაფა განათავსეს. 1990 წლის ნოემბრის მიწურულს გროზნოში ჩეჩნეთის ეროვნული ყრილობა ჩატარდა, რომელმაც აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი ჯოჰარ დუდაევის თავმჯდომარეობით. 1991 წლის მარტში დუდაევი ჩეჩენ-ინგუშეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავიდაშლა მოითხოვა. იმავე წლის მაისში თადარიგში წასულმა გენერალმა წინადადება მიიღო დაბრუნებულიყო ჩეჩენ-ინგუშეთში და გაძლიერებულ საზოგადო მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა. 1991 წლის 27 ოქტომბერს ჩეჩენ-ინგუშეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, 90,1%-ით ჯოჰარ დუდაევი გამარჯვდა და თავისი პირველი ბრძანებულებით, თავთგამოცხადებული ჩეჩნეთის რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც არც რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლებებს და არც უცხოეთის რომელიმე ქვეყნის ხელისუფლებას უცვინია. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ თავადაც ნაწილობრივ ცნობილმა ავღანეთის ისლამურმა ემირატმა სცნო, ისიც დუდაევის სიკვდილის შემდეგ. 2 ნოემბერს რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ ჩეჩენ-ინგუშეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არაკანონიერად სცნო, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კი ბრძანებულა გამოსცა ავტონომიურ რესპუბლიკაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ, მაგრამ მისი რეალუზება ვერ

მოხდა, რადგან ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი და ძალიან სტრუქტურები მხოლოდ ფორმალურად იყო ელცინის დაქვემდებარებაში. რაც შეეხება მიხეილ გორბაჩოვს, იგი ავგისტოს პუტჩის შემდეგ, ძალაუფლებას ფაქტობრივად აღარ ფლობდა და მთლიანად დაკარგა კონტროლი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ელცინის გადაწყვეტილების საპასუხოდ, დუდაევი მის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, იარაღით ხელში ხდებოდა ძლიერი სამინისტროებისა და უწყებათა შენობების ხელში ჩაგდება, ადგილობრივი სამხედრო შენაერთების განიარაღება, სამხედრო ქალაქების ბლოკირება, შეწყდა სარკინიგზო და ავიაგადამზიდვები. თვითგამოცხადებული ჩეჩნეთის ხელისუფლებამ მოსკოვში მცხოვრებ ჩეჩნებს მოუწოდა რუსეთის დედაქალაქი „უბედურების ზონად“ გადაეციათ.

რუსეთის სპეცსამსახურებმა ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებისთანავე ნადირობდნენ ჯოჰარ დუდაევიზე. თავდასხმის სამი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. 1996 წლის 21 აპრილს, რუსულმა სპეცსამსახურებმა დუდაევის თანამგზავრული ტელეფონის სიგნალი გროზნოდან 30 კმ-ში დააფიქსირეს, მაშინვე აფრინდა ორი სუ-25 მარკის მოიერიშე თვითმფრინავი და ჩეჩნეთის ლიდერი სარაკეტო დარტყმით სავარაუდოდ, იმ დროს გაანადგურეს, როცა ის ტელეფონით ესაუბრებოდა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატ კონსტანტინე ბოროვოის. მოგვიანებით დუდაევის მეუღლე საგაზეთო ინტერვიუში აცხადებდა, რომ იგი ჯოჰარის სიკვდილის დროს მის გვერდით იყო. „ბოროვოის ესაუბრებოდა და მთხოვა მოშორებით გაესულიყავი, დაახლოებით 12 მეტრით ვიყავი მოცილებული, რომ ზურგს უკან რაკეტის დარტყმის ხმა გავიგე, აფეთქების ძალამ ხევში გადამაგდო, ამოსვლა რომ დავიწყე, დარტყმა განმეორდა. მთვარეულივით მივდიოდი, ვერ მივხვდი სად გაქრა მეორე „უაზი“ და ჩვენი ახლობელი, ამ დროს გადავაწყვი ჯოჰარს, უკვე მკვდარი იყო. მისი ბოლო სიტყვები არ მომიხმენია, მაგრამ მან მოასწრო მცველის მუსა იდიგოვისთვის ეთქვა, „საქმე ბოლომდე მიიყვანეთ“.

თავად დეპუტატი ბოროვოი არ იყო დარწმუნებული, რომ დუდაევი სწორედ მასთან სატელეფონო საუბრის დროს მოკლეს. სხვა ინფორმაციით, დუდაევი მაროკოს მეფის წარმომადგენლებთან სასაუბროდ ემზადებოდა, რომელიც თავადვე დაასახელა კრემლთან მოლაპარაკებისას შუამავლის შესაძლო კანდიდატად. ჯოჰარ დუდაევის საფლავის ადგილი უცნობია. მისი სიკვდილიდან 15 წლის შემდეგ გამოჩნდა რუსეთის პრესაში, ლიკვიდაციის დეტალები. არაერთხელ გააფლავა ინფორმაციამ, რომ საპაერო თავდასხმის მიუხედავად, დუდაევი შესაძლოა ცოცხალია. 1996 წლის ზაფხულში, დუდაევის სიძემ სალმან რადუევიმა, რომელიც ადრე ასევე მოკლულად იყო გამოცხადებული, პრეს-კონფერენცია მოიწვია

და ყურანზე დაიფიცა, რომ დუდაევი ცოცხალი გადარჩა და 5 ივლისს ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში შეხვდა. რადუევის განცხადებით, დაჭრილი გენერალი, შემთხვევის ადგილიდან ერთი მისიის წარმომადგენელთა ავტომანქანით, უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს, იმჟამად იგი საზღვარგარეთ იმალეობდა და როცა საჭირო იქნებოდა, აუცილებლად დაბრუნდებოდა. რადუევის ამ განცხადებას, პრესაში დიდი გამოხმაურება მოყვა, ოღონდ „დადგენილ დროს“ დუდაევი არ გამოჩენილა. მოგვიანებით რადუევიმ ლეფორტოვოს ციხის პატიმრის „რანგში“ მოინანია, რომ პოლიტიკის გამო, ასეთი ცრუ განცხადება გააკეთა.

**ირაჰის პრეზიდენტი
სალამ ჰუსეინი**

რუსული მედია მიიჩნევს, რომ ამერიკის ხელისუფლებას შედეგზე არ უფიქრია, როცა 2003 წელს, ერაყში „შვილობა-დემოკრატიის“ დამყარების მოტივით შეცვივდნენ და ლამის ორი ათეული წელია, თანამედვერულად და უგუნურად ანგრევენ ამ ერთ დროს აყვავებულ და უმდიდრეს ქვეყანას. თავიდან პრეზიდენტმა ჯორჯ ბუში-უმცროსმა დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით, უმიზეზოდ დაიწყო ერაყის დაბომბვა. იმ პერიოდში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლეირი გახლდათ. აგრესიის ოფიციალურ მოტივად ორი „მტკიცებულება“ გამოაცხადეს, ერაყელი ტირანი სადამ ჰუსეინი ძალზე სახიფათოა, რადგან მასობრივი განადგურების იარაღს ამზადებსო. გეგმობდა, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსული აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კოლინ



დამ ჰუსეინზე „შურისძიება“. ცნობისთვის, ამ ტერაქტებიდან ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, ქართული ძალიან სტრუქტურების პროფესიონალმა ოფიცრებმა კერძო მითხრეს, დიდი ალბათობით, ტერაქტებში თავად შეერთებული შტატების ხელისუფლებაცაა ჩართული, მიზეზს ეძებენ ერაყში შესასვლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ არ აღკვეთეს ტერაქტი, როცა წინასწარ იყვნენ კარგად ინფორმირებულნი, რომ ასეთი რამ იგეგმებოდა. მოგვიანებით, ანალოგიური განცხადებები მრავლად გაკეთდა, თანაც უცხოელი კომპეტენტური პერსონების

მე წამის შემდეგ, უკვე გარდაცვლილის სახეც გვაჩვენეს. ეს იყო ყოველად გაუმართლებელი ბარბაროსობა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სადამ ჰუსეინის „აღ ქაიდასთან“ კავშირი ვერ დაამტკიცდა. ოკუპირებულ ერაყში დიდი ძვინის შემდეგ, ვერც მასობრივი განადგურების იარაღი აღმოაჩინეს. კოლინ პაუელის შუშის ფლავიონის თიერი შიგთავსიც სიყალბე გამოდგა. ასე რომ, სუვერენულ სახელმწიფოში შეჭრისა და გაჩანაგების ორივე მიზეზი ყალბი აღმოჩნდა. „შვილობისმყოფლებმა“ ერაყის არმიის დაშლილ-დაქსაქსული შენაერთებიდან შემდგომ, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული სტრუქტურები ჩამოაყალიბეს, რომლის კონტროლქვეშაც გარკვეული პერიოდი ერაყის ტერიტორიის 40%-მდე აღმოჩნდა. რაც შეეხება მეზობელ სირიას, რომ არა რუსეთის დახმარება, ალბათ დიდი ხნის წინ იფრიალებდა რადიკალი ისლამისტების შავი დროშა მისი დედაქალაქის, დამასკოს თავზე. ცნობილი რუსი ტელეჟურნალისტის დიმიტრი კისელიოვის განცხადებით, ამერიკელის შედეგზე დაუფიქრებლობა იგივე ერაყის მაგალითზე, ან მათი განათლების დაბალი დონის ბრალია, ანდა უსაზღვრო თავდაჯერებულობის. სადამ ჰუსეინის მოშორებით, რომლის დასაყრდენიც ერაყის სუნიტური უმცირესობის თვითარსებობა იყო, ამერიკელმა საკუთარი თავსაც შეუქმნეს პრობლემა. შეერთებულმა შტატებმა ჰუსეინის მომხრე სუნიტები, ისლამის დომინანტი შტოთი, ანუ შიიტებით ჩაანაცვლა. ამიტომაცაა, ერაყსა და ირანს შორის, მნიშვნელოვნად რომ გაუმჯობესდა ურთიერთობა. ირანელი გენერლის ყასემ სულეიმანის მკვლელობაზე, ერაყელ კანონმდებელთა ძალზე სერიოზული რეაქცია პქონდათ, პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა ქვეყნიდან უცხოური სამხედრო შენაერთების, პირველ რიგში ამერიკელი სამხედროების გაყვანას.

(გაბრიელეზა იმნაზა)
მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



პაუელი თეთრფხვინიანი პატარა ბოთლით, რომელიც მტკიცებულების ფუნქციას ასრულებდა, აქაოდა, აგერ არის განადგურების იარაღის მასალაო. პაუელი შეიძლება იყო კიდევ „უშიშარი ვითარცა უხორცო“, ბოლო-ბოლო სამხედრო ოფიცერი იყო, მაგრამ დანარჩენ მონაწილეებს რას ერჩოდა, ამ „განადგურების იარაღს“ ცხვირწინ რომ უფრიალებდა?! მეორე ვერსია გახლდათ, ერაყელი ტირანი სადამ ჰუსეინი „აღ-ქაიდას“ იმ ტერორისტებთანა დაკავშირებული, რომლებმაც ნიუ-იორკში გაანადგურეს „ტყუებდა“ წოდებული ორი ცათამბჯენი და ჩამოსავარდნად გამზადებული თვითმფრინავი პენტაგონისკენ მიმართესო. 2001 წლის სექტემბერში მომხდარ ამ ტერაქტებს ამერიკაში სამი ათასი ადამიანი ემსხვერპლა. გადაწყდა ერაყის პრეზიდენტ სა-

მხრიდან, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა. ანგლო-ამერიკული საპაერო დაბომბვებისა და სახმელეთო ოპერაციების შედეგად, ასევე ათასობით ერაყელი დიღუპა, ზუსტი ციფრები თურმე დღესაც არ არსებობს, ხოცავდნენ დაუთვლელად. შემზარავი იყო თავად სადამ ჰუსეინის დასჯის მეთოდი, რომელიც „ცივილურმა“ დასავლეთმა გამოიყენა, მით უმეტეს, ამ პროცესის გადაღება და გავრცელება. ამერიკული ოკუპაციის პირობებში, სპეციალურმა ტრიბუნალმა გეგონება შუა საუკუნეებიაო, ჰუსეინის ჩამოხრჩობის გადაწყვეტილება გამოიტანა. ერაყის ექს-პრეზიდენტის განაჩენის აღსრულება ერთ პირქუშ სარდაფში მოხდა, გვაყურებინეს როგორ ჩამოაცვეს მას კისერზე თოკის მარყუჟი და სიმალიდან უბიძგეს, რამდენი-

– ალიო, ბატონო დავით, გეს-
მით ჩემი?
– დიახ, მესმის, აბა არ მესმის?
– ბატონო დავით, თქვენ ისევ
პირველი პოლიტიკოსი ხართ ნი-
კოფსიდან დარუბანდამდის, გი-
ლოცავთ!
– ჰმ!
– რა ჰმ, ბატონო დავით?
– აბა, ვინ უნდა იყოს პირველი,
თუ არა მე?!
– ჰოდა, მეც მაგას ვამბობ...
მიცანი?
– გიცანი, მეგი არ ხარ გოცი-
რიძე?
– დიახ, ბატონო დავით, მი-
შა რომ პრეზიდენტი გახდება და
თქვენ კიდევ პრემიერ-მინისტრი ან
ისევ პარლამენტის თავმჯდომარე,
იმედია, სოცულურ-დემოკრატიის გან-
ყოფილების გამგედ დამნიშნავთ.
– აუცილებლად.
– ჰო, ბატონო დავით, როგორც
„ენდიასი“ კვლევებმა აჩვენა, თქვენ
არა მხოლოდ ჭორვილელ ხინოს
უსწრებთ რეიტინგით, არამედ გა-



ხარია და კალაძე კი ჩამოიტოვებთ,
გილოცავთ!

– მე პირველი ვარ მარად და
მარად!
– დიახ, მეც ეგ უნდა მეთქვა ამ
წუთას, სულ პირველობას გისურ-
ვებთ, პირველობა ნუ მოგაკლოთ
დღემთმა!
დავითმა ტელეფონი გათიშა,
ამოიხეხა და სავარძელში გადაწ-
ვა. ოპოპოპოო... ეხლა ატყდება
რეკეები, დაიწყება მოლოცვები,
თხოვნები... ისე, ჩემ თავში რომ
ველაპარაკო ჩემსავე თავსა, უკვე
შავლონდი... არა, კი არი სასამოე-
ნო პროცედურა სულ მუდამ პირ-
ველ კაცად ყოფნა, მაგრამ მართლ
თუორიული პირველკაცობა ტეხავს.
ისევ დარეკა ტელეფონმა. დავითმა
ჭმუნვით დახედა, ვიღაც აბეზარი
იქნებაო. „ნიკანორ მელია“ დაი-
წერა.
– დავით, გილოცავ, ძმაო,
34-პროცენტაინი ხარ!
– ჰმ! – ჩაახველა დავითმა.
– რა ჰმ?
– არა, არაფერი, მაღლობა.
– როცა პრეზიდენტი გახდები,
ხომ მომხსნი სამაჯურს?
– ჰმ.
– რა ჰმ, ძმაო, არა?
– ჯერ გაუხდე პირველი თა-
ნამდებობის პირი, რაზეა ბაზარი?
– აეგრე, რააა, მე კიდევ რაღა
არ ვიფიქრე!
– რაო მიშამ, არ ესამოვნა ჩემი
პირველკაცობა, ხომ?
– ნუ, ეხლა, როგორ გითხრა,
ძმაო, არ უხსენებინარ.
– შურიანი ვეა!
– არ არი შურიანი, უბრალოდ
ვერ იტანს, ხო იცი, ვინმე მაგაზე
წინ რო წაიწვეს ხოლმე.
– ვიცი, მე რომ მაგას ვიცნობ-

დი, შენ ჯერ აკვანში იყავი ჩაკ-
რული... ბოლოს და ბოლოს, ომი
ერთად მოვივეთ 2008-ში!
– ჰო, ეგ მახსოვს, ჩანგლებით
და რამე...
– ენა დაიმოკლე, ჩანგლებით
ომი ვის გაუგია?!
– კარგი, წავედი, წარმატებე-
ბი, ძმაო.
დავითმა საათს დახედა, თორმე-
ტი შესრულებულიყო, ერთ საათში
„ლეიბორისტების“ ოფისში უნდა
ყოფილიყო. სახეზე ცივი წყალი
შეისხა, სარკეში ჩაიხედა, საკუ-
თარი თავი ცოტა გაფითრებული
მოეჩვენა, თუმცა პოლიტიკური მე-
დიდურობა მაინც არ წაშლილიყო.
დავითს ყოველთვის ახსოვდა, რომ

ნიულად გაიღიმა, გულში მაინც
გაჰკენწლა ავმა აზრმა, შენ გგონია,
მართლა პირველი ბრძანდები, ვაჟ-
ბატონო? ნინო ბურჯანაძეს თვა-
ლები მოეწკურა და სადღაც შორს,
რუსეთით უკიდევანო სივრცე-
ში იფურებოდა. შალვა ნათელაშ-
ვილს შუბლზე ნაოჭები გასწნოდა,
თითქოს ნასიამოვნები იყო თავისი
ოცდაექვსი პროცენტით, მაგრამ
გულში მაინც ფიქრობდა, ამან
როგორ უნდა მაჯობოს, ამ ჩანგა-
ლამო? ბაჩუკი ქარდავამ დავითს
მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა,
მსხალივით თავზე კოტიტა თითები
გადაისვა და მაგიდასთან მიიწვია.
– ამხანაგებო, დღეს დიდი
დღეა, ჩვენი მეგობარი და თანა-



სიღარბაისლე უნდა შეენარჩუნებინ-
ა, ხმის დაბლ და ბუბუნა ტემბრს
იმ ღირსებად თვლიდა, რომელიც
საქართველოს მოსახლეობას მოს-
წონდა. საპრეზიდენტო არჩევნე-
ბის შემდეგ დავითი საგონებელში
ჩავარდა, „ენდიასი“ გამოკითხვის
შედეგად მაშინაც პირველი იყო,
მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა,
მეორეზეც ვერ გავიდა. ლუის ნა-
ვარომ თავი იმართლა, ჩვენაო, ეგ
გამოკითხვა შეიძინა თვის წინ ჩავა-
ტარეთ, ამ დროში მოსახლეობამ
აზრი შეიცვალაო. ჰმ... აზრი არა,
ფეხები შეიცვალა. ერთი ქალბა-
ტონ ლორასაც უნდა გადაურეკოს,
ჯერ მაღლობას გადაუხდის, მერე
კი სასხვათაშორისოდ არჩევნებ-
ზე ჩამოუგდებს სიტყვას. იმედია,
თორბონიც არ იტყვის, ეგ კვლევა
შარშან ჩავატარეთო.
დავითი ამაყად შევიდა „ლეიბო-
რისტების“ ოფისში. ოვალურ მა-
გიდასთან მსხდომნი ფეხზე წამო-
დგნენ. ნიკა მაჭუტაძემ ყველას და-
ასწრო, მხურვალე ტაშით შეეგება.
თითქოს მის ფეხებთან გაგორებაც
უნდოდა, მაგრამ დავითმა ეგრევე
წამოაყენა, ჯერ ადრეა, მაგასაც
მოესწრებო. ეკა ბესელიამ ირო-



ნიულად გაიღიმა, გულში მაინც
გაჰკენწლა ავმა აზრმა, შენ გგონია,
მართლა პირველი ბრძანდები, ვაჟ-
ბატონო? ნინო ბურჯანაძეს თვა-
ლები მოეწკურა და სადღაც შორს,
რუსეთით უკიდევანო სივრცე-
ში იფურებოდა. შალვა ნათელაშ-
ვილს შუბლზე ნაოჭები გასწნოდა,
თითქოს ნასიამოვნები იყო თავისი
ოცდაექვსი პროცენტით, მაგრამ
გულში მაინც ფიქრობდა, ამან
როგორ უნდა მაჯობოს, ამ ჩანგა-
ლამო? ბაჩუკი ქარდავამ დავითს
მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა,
მსხალივით თავზე კოტიტა თითები
გადაისვა და მაგიდასთან მიიწვია.
– ამხანაგებო, დღეს დიდი
დღეა, ჩვენი მეგობარი და თანა-

მებრძოლი დავით ბაქრაძე, კიდევ
ერთხელ, პირველი კაცია, – გამო-
აცხადა პაატა დავითაიამ.
– ჰმ... ტაში, ამხანაგებო, და-
ვითი პირველი კაცია, ოღონდ ჩემს
მერე! – დაიბუხუნა გრიგოლ ვა-
შაძემ.
– შენს მერე? – აიჩეხა მხრები
დავითმა.
– ამხანაგო დავით, არაფერი
შეგეშალოს, ბოლო არჩევნები არ
დაგაიწყდეს რეაასი ათასი ხმით! –
განაგრძო დავა გრიგოლმა.
– ჰმ! – აღმოხდა დავითს.
– რა ჰმ? – ჩახედა თვალებში
გრიგოლმა.
– კარგი, ამხანაგებო, ჩვენ
ყველანი პირველები ვართ, ნუ გან-
ვიკითხავთ ერთმანეთს, – მიმართა
დამსწრე საზოგადოებას შალვამ.
– დიახ, ჩვენ ტყუილად კი არ
გვეპაზიან ლიდერებს, პირველე-
ბი ვართ და როგორც დიდი მიშა
იტყვის ხოლმე, ასე იქნება მარად
და მარად! – აუწია ხმას მაჭუტაძემ.
– ჰმ, – ჩაიცინა ბესელიამ.
– ჰმ, – აღმოხდა ბურჯანაძესაც.
დავითი მაგიდასთან ჩამოჯდა.
ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანდა.
ვივა ბოკერიამ იგრძნო, დარბაზში
უხერხული მომენტი რომ შეიქმ-
ნა და მისი გაფანტვა ხუმრობით
სცადა.
– იცით, ამხანაგებო... ბიძინა
ივანიშვილს ზებრა ჩამოუყვანია
ბრაზილიის ჯუნგლებიდან, სა-
მი დღის შემდეგ უბანავებიათ და
თურმე „გადაკრასკული“ ჯორი
აღმოჩნდა!
– ჰა, ჰა, ჰა... ეგ რა არი, ბიძინა
სანამ დიდ ფულს იშოვნიდა, თხები
იყიდა მოსაშენებლად. ამ თხებსა,
კაცო, რაღაცა დაავადება გაუჩ-
ნდათ და დაიხოცნენ. ამან კიდევ
ფული რო არ დაეკარგა, გაკრიჭა

პოლიტიკური ნოველა

და მატყლი სართავ ფაბრიკაში ჩა-
აბარა! – ახარხარდა შალვა.
– აუ, ბიძინაზე იმდენი რაღაცე-
ბი ვიცი, თქვენ არც კი დაგესიზმ-
რებათ! – შეკრა კოპები ბესელიამ.
– ვაიმევე, მოგიყვები რა, ამხა-
ნაგო ეკა, რეზა გვიმაღლა? – წა-
მოხტა სკამიდან თინა ბოკურა და
მაგიდაზე შემოჯდა.
– არა, გენაცვალე, ჯერ მაგის
დრო არ დამდგარა, – მიუგო ამ-
ხანაგმა ეკამ და ცხვირი აიბუხა.
– ამხანაგებო, ვინაიდან და
რადგანაც „ენდიამ“ კიდევ ერთხელ
დამასახელა პირველ კაცად, ნება
მიბოძეთ, მოგახსენოთ ჩემი წუ-
ხანდელი ნაზრევი! – განაცხადა
დავითმა და ცოტა ხანს ჩაფიქრა.
– დიახ, ამხანაგო დავით, გის-
მენთ, – გააქიცინა თავი ბოკერიამ.
– ჩემი პროფეროპული გაგე-
ბით, მრავალწლოვანი გამოცდილე-
ბით და უღრმესი რწმენით, ბიძინა
ივანიშვილი უნდა ჩამოვაშოროთ
მართვის სადავეებს!
– ესე იგი, ბიძინა ივანიშვილი
უნდა ჩამოვაშოროთ მართვის სა-
დავეებს და არა მართვის სადავეები
ბიძინა ივანიშვილს, ხომ? – დასვა
შეკითხვა მაჭუტაძემ.
– დიახაც რომ ასეა, თუ ჩვენ
ბიძინა ივანიშვილს ჩამოვაშორებთ
მართვის სადავეებს, ეს სადავეები
დარჩება თავის ადგილზე, ხოლო
თუ მართვის სადავეებს ჩამოვაშო-
რებთ ივანიშვილს, არავინ იცის, რა
მოხდება, გესმით?!
– რა თქმა უნდა, არა მხოლოდ
გვესმის, მთელი გულით და სუ-
ლით ვგრძნობთ, რომ ეს გენიალუ-
რი მიგნებაა! – წამოიფვირა ბაჩუკი
ქარდავამ.



ჩანგალა - დავით ენდიასური

– ჩემი აზრით, ორივე ერთდ-
როულად უნდა გავაკეთოთ, – თქვა
მტკიცე ტონით ბურჯანაძემ.
– ესე იგი, ესეც ჩამოვაშოროთ
და ისიც? – დასვა კვლავ შეკითხვა
მაჭუტაძემ.
– დიახ, ესეც და ისიც, დარტყმა
უნდა იყოს ერთდროული და თა-
ნაც პარამონიული, – დადასტურა
ბურჯანაძემ.
– ამხანაგო ნინო, მე არ მგონია,
რომ ახლა პარამონიის დრო იყოს! –
განაცხადა დავითმა.
– ვეთანხმები ამხანაგ დავითს,
ჩვენ ახლა უნდა ვკონცერტირდეთ
მხოლოდ ივანიშვილის ჩამოცილე-
ბაზე, – გააქიცინა ისევ თავი ბო-
კერიამ და თვალები არაჩვეულებ-
რივად გადაატრიალა, გვეგონება
გული მისდისო.
– ესე იგი, ჩვენ უნდა გაემარ-
თოთ კონცერტი? – დასვა კვლავ
შეკითხვა მაჭუტაძემ.
– დიახ, როდესაც ივანიშ-
ვილს ჩამოვიცილებთ, ამის შემ-
დეგ გაემართავთ გრანდიოზულ
კონცერტს, – დაეთანხმა დავითი.
– კონცერტს გაემართავთ მას
შემდეგ, რაც ჩვენ ვკონცერტირდებ-
თ, – დააზუსტა პაატა დავითაიამ.
– რასაკვირველია, კონცერ-
ტრაციაც საჭიროა და კონცერ-
ტიც, – დაუსვა საკითხს წერტილი
ბურჯანაძემ.
– მაშ ასე, ამხანაგებო, ვინაიდან
და რადგანაც მე მთელმა სამყარომ
ისევ დამასახელა პირველ კაცად,
დღევანდელი შეკრების დასასრულს
ვიტყვი: გადაწყვეტილება მიღებუ-
ლია, ჩვენ ბიძინა ივანიშვილი უნდა
ჩამოვაშოროთ მართვის სადავე-
ებს. ასეთია ჩემი პროპორციული
და პროფეროპული გაგება, – წარ-
მოთქვა დავითმა და ჩანგლით თი-
ნა ბოკურას მხარე გამოცხადებდა
კექისის ერთი ნაჭერი დაითრია.
ოპოზიციის წარმომადგენლები
წამოიშალნენ. მართალია, მათ თვა-
ლებში ზიზღი იკითხებოდა, მაგრამ
ერთმანეთს მაინც გულთბილად ჩა-
მართვეს ხელი და გაუდგნენ გზას
იმ იმედით, რომ ნათელი მომავალი
შორს აღარ იყო.

გაეროს სადაზღვეო „ასოფლიო ომი“



თუ ირანი ძალისმიერი მეთოდებით ეცდებოდა შურისძიებას. თუმცა, ვიდრე ირანში აითოლა არსებობს, აშშ-თან მათი ურთიერთობა არ გაუმჯობესდება. — აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი არიელ კოენი.

აშშ-ი არსებულ ცივ ომზე ღიად საუბრობენ იქაური მიმომხილველები. მათი განცხადებით ქვეყანაში ტრადიციული ლიბერალები ფაქტობრივად აღარ არიან. დემოკრატებს, რომლებიც ლიბერალობას ჩემულობენ უკვე სხვა ფასეულობები აქვთ. ღონაღდ ტრამპის წინააღმდეგ ძირითადად გლობალისტები არიან განწყობილნი. ექსპერტების შეფასებით, თუ ღონაღდ ტრამპი მეორე ვადითაც გახდება პრეზიდენტი, რომლის ალბათობაც დიდია, შესაძლოა, ის გარემოება დღევანდელი ლიბერალი დემოკრატების დასასრულიც აღმოჩნდეს.

კიდევ ერთხელ დაამტკიცა ღონაღდ ტრამპმა, რომ მართლაც

ვიქნები კიდევ გაგზარდო გადასახადი ავტომობილების იმპორტზე. ჩინეთთან გაცილებით იოლია მოლაპარაკება, ვიდრე ევროკავშირთან. ამიტომ, ჯერ ჩინეთთან მოვავგარებთ ურთიერთობას, რომელთანაც ბოლო დროს საუკეთესო დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა და შემდეგ ევროკავშირთან. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის ახალმა ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლიბიენმა განაცხადა „ახლო მომავალში გაავფორმებთ აშშ-თან სავაჭრო ხელშეკრულებას“. მართლაც, შიშს დიდი თვალები აქვს, თუმცა არიელ კოენი მიიჩნევს, რომ აშშ ჩინეთთან მრავალწლიან სავაჭრო კონფლიქტშია ჩაბმული.

ღონაღდ ტრამპი დაავსოვი პირისპირ შეხვდა ერავის პრეზიდენტ ბარხამ სალდხის. საუბრის თემაზე არანაირი ინფორმაცია არ გავრცელებულა. სავარაუდოდ ტრამპი უსაყვედურებდა პარლამენტის დადგენილებაზე, რომლის მიხედვით ერავი უნდა დატოვოს ყველა ქვეყნის მათ შორის აშშ-ის ჯარებმა. რა შედეგი მოყვება მათ საუბარს უცნობია, მაგრამ ორშაბათს ბაღდადში 3 რაკეტა ესროლეს აშშ-ის საელჩოს. შედეგად 3 ადამიანი დაშავებული.

გასულ კვირას ისრაელში გაიმართა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლების და ფაშისტების მიერ დახოცილ ებრაელთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება. იერუსალიმში 60 ქვეყნის დელეგაცია იმყოფებოდა. ღონაღდ ტრამპმა ისრაელში ჩასვლას თავი აარიდა. როგორც წინასწარ იყო ცნობილი, ღონისძიებაზე მთავარ სტუმრის რანგში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იყო მიწვეული, რომელიც სიტყვიერად უნდა გამოხატულიყო. ექსპერტების განცხადებით ტრამპი

ლიონი ებრაელი, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ წარმომავლობისთვის დახოცეს. მათ შორის უამრავი ბავშვი და ქალი, ღონისძიება, მართლაც ემოციური აღმონდა. გერმანიის პრეზიდენტმა ვალტერ-შტაინმაიერმა ქვეყნის სახელით კიდევ ერთხელ მოუბოდიშა მსოფლიოს და ებრაელ ხალხს. ღონისძიებაზე გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ ანტისემიტური გამოვლინება მსოფლიოში გაიზარდა და მიუახლოვდა 1938 წელს არსებულ დონეს.

იერუსალიმში პოლოკოსტისადმი მიძღვნილ ღონისძიების დღეს გახსნეს ლენინგრადის ბლოკადაში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი „ხსოვნის სანთელი“. მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა მემორიალი. ემოციების დასაფარად დიდი ძალისხმევა დასჭირდა პუტინს, რომელმაც ცრემლები გაკვირვებით შეიკავა. პუტინმა ისრაელში წამოაყენა წინადადება — გაერთიანებული ერების დამფუძნებელი ზუთი სახელმწიფოს ჩინეთის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის ლიდერებმა გამართონ სამიტი, სადაც იმსჯელებენ მსოფლიოში არსებული მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების დასახვის გზებზე. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა იქვე დაუჭირა მხარი იდეას. შეხვედრაზე თანახმა ჩინეთი, აშშ-ის და ბრიტანეთის პოზიცია უცნობია. აღსანიშნავია, რომ პუტინის მიერ შეთავაზებული მსგავსი სამიტი გაეროს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა.

დიდ ბრიტანეთში დასრულდა „ბრექსიტის“ სერიალი. გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელიზაბედ II კანონს მოაწერა ხელი და 31 იანვარს ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს. ბრექსიტით კმაყოფილია ღონაღდ ტრამპი. მისი განცხადებით

სამყაროში დღეს არსებულ პოლიტიკურ ქაოსს, ექსპერტების ნაწილი გამოუცხადებელ ახალ მსოფლიო ომად აფასებს. დაძაბული ვითარება არამარტო საერთაშორისო მასშტაბით. ბევრ ქვეყანაში შინაური დაპირისპირება თვალნათლად ჩანს, ამის საუკეთესო მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სიტუაცია. ღონაღდ ტრამპის თეორიულ სახლში შესვლამდე დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც დღემდე არ განელეზულა. თავდაპირველად, ტრამპის მოწინააღმდეგეები საპრეზიდენტო არჩევნებში რუსულ კვალს ეძებდნენ, რაც სამარცხვინოდ ჩაუვარდათ. შარშან რუსეთი უკრაინამ ჩაანაცვლა. დემოკრატმა კონგრესმენებმა პრეზიდენტ ღონაღდ ტრამპს ბრალი უფლებამოსილების გადაჭარბებაში დასდეს, უკრაინის ახლადარჩეულ პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკისთან სატელეფონო საუბრის გამო. თურმე ნუ იტყვი, ქვეყნის მეთაურს უფლება არ ჰქონია თავის კოლეგას (თუნდაც პოლიტიკურად მსუბუქს) უთხრას, ჩემი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც თქვენთან მოღვაწეობდა, კორუფციულ მაქინაციებში მონაწილეობას აბრალებენ და იქნებ გამოიკვლიოთ და სიმართლე დაადგინოთ.

კონგრესმა ღონაღდ ტრამპი დამნაშავედ სცნო და იმპიჩმენტი გამოუცხადა, თუმცა, მასალების სენატში მიტანას არ ჩქარობდნენ, თავს იკავებდნენ. წლის დასაწყისში, ირანთან ინციდენტის შემდეგ გაბედეს იმპიჩმენტის პროცედურის სენატში გადატანა. მასალების სენატში წაღება, დემოკრატებმა თეატრალიზებულ შოუდ აქციეს. კონგრესიდან სენატისკენ ფეხით წავიდნენ და შეგროვილი მასალები ხელით წაიღეს. ექსპერტების თქმით, დემოკრატებს იმედი ჰქონდათ ირანთან ინციდენტის შემდეგ საწადელ მიაღწევდნენ იოლად შეძლებდნენ ტრამპის თანამდებობიდან გადაყენებას.

სენატში, იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებისთანავე იმედები გაუცრუვდათ. მათი ყველა შუამდგომლობები პროცედურასთან დაკავშირებით უარყო მოსამართლემ.

სენატში იმპიჩმენტის პროცედურა



რა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. რესპუბლიკელების მიზანია მალე დასრულდეს ქვეყანაში არსებული გაურკვევლობა. პოლიტოლოგების პროგნოზით ღონაღდ ტრამპი გამართლდება. რესპუბლიკელები, რომლებიც სენატში უმრავლესობით არიან, თანაპარტიულს მხარს უპირობად დაუჭერენ „...ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია. დემოკრატები ქვეყანაში არსებულ ვითარებას შავ ფერში წარმოადგენენ, რესპუბლიკელები პირიქით. ამასთან, კოსტიტუციურად დემოკრატებს იმპიჩმენტის გამოცხადების არანაირი საფუძველი არ აქვთ. როდესაც რესპუბლიკელები ეკითხებიან სად იკვეთება ტრამპის დანაშაული, ისინი ჯიუტად პასუხობენ ჩვენ ასე გვსურსო. სულეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ აშშ-ი ირანთან გააოცხადებელი ომის პირობებშია. ფართომასშტაბიანი კონფროტაცია იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი,

„კერკეტი კაკალია“. სენატში იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება არაფრად მიიჩნია და გასულ კვირას შეეცარათ დაავსოის ეკონომიკურ ფორუმზე წავიდა, რითაც გააოცა მსოფლიოს პოლიტიკოსები, — თუმცა შარშან დაავსოში წასვლაზე სასტიკი უარი თქვა, არაფრისიმპიტანიაო. წლებიანდელი ფორუმი საიუბილეო 50-ე იყო. ...სენატს და მის გადაწყვეტილებას ვენდობი. თუმცა, იმპიჩმენტის პროცედურა ჩვენი ქვეყნისთვის გლობალური სირცხვილია“ — განუცხადა ღონაღდ ტრამპმა ჟურნალისტებს.

დაავსოს ტრიბუნა ტრამპმა სათავეს დაეფუძნა გამოიყენა. დემოკრატების სტრატეგია შეეცარათ კიდევ ერთხელ გაანადგურა. წლებიანდელი დაავსოს ფორუმი ეკოლოგიის გაუმჯობესებისადმი იყო მიძღვნილი. მიუხედავად ამისა, ტრამპმა თავის გამოცხადებაში აშშ-ის ეკონომიკურ მიღწევებს დიდი დრო დაუთმო. ... ტრადიციულად აქ მსოფლიოს ლიდერები ვხვდებით ერთმანეთს, ამჯერად კაპიტალის აშშ-ი ვაბრუნებთ. ენერჯეტიკულ სფეროში უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. ახლა ნავთობის და გაზის იმპორტი აშშ-ის მტრული ქვეყნებისგან აღარ გვჭირდება. ამიტომ მოვუწოდებ ევროპის ქვეყნებს — გადავიდნენ ამერიკულ გაზზე და შეინარჩუნონ ენერჯეტიკული უფლადა და ევროკავშირს კიდევ ერთხელ დაემუქრა: „... თუ ბრიუსელთან უახლოეს ხანში ვერ მოვახერხებთ ახალ საჯარო ხელშეკრულების გაფორმებას, იძულებული



იმითმ არ წავიდა ღონისძიებაზე, იმპიჩმენტის პროცედურისას დემოკრატებს კვლავ არ დაებრალბინათ პუტინთან მეგობრობა. რატომ არ იყვნენ ფაშისტების მსხვერპლთა ხსოვნის ღონისძიებაზე პოლონეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების დელეგაციები უცნობია. უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი კი იმყოფებოდა იერუსალიმში, მაგრამ ოფიციალურ ღონისძიებას არ დასწრებია. „ჩემი მოსაწყვეი ვეტერანებს გადაეცით“, — უთხრა მასპინძლებს. ამით გააოგნა მასპინძლები. როგორც ამბობენ, ამით ზელენსკიმ საკუთარი იმიჯი შელახა.

მსგავსი უდიდესი ღონისძიება ისრაელში ჯერ არ ყოფილა. მეორე მსოფლიო ომმა, როგორც ცნობილია 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, აქედან 6 მი-

აშშ-ი ბრიტანეთთან სასურველ და ურთიერთხელსაყრელ ხელშეკრულებას გააფორმებს. ექსპერტების შეფასებით ბრიტანეთისთვის მთავარი პრობლემები სწორედ „ბრექსიტის“ შემდეგ დაიწყება. შოტლანდიელები უკვე ითხოვენ განმეორებით რეფერენდუმის გამართვას დამოუკიდებლობის მოთხოვნით. პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი ორ წყაღშუაა. ან უნდა დათანხმდეს რეფერენდუმს, ან კატეგორიული უარი უთხრას, რითაც დემოკრატული პრინციპებს უარყოფს. ჯერჯერობით კი მსოფლიოს ყურადღება ახალი გრიპის ვირუსზეა გადასული. ვნახოთ რომელი გადარჩენის გრიპის ვირუსი თუ მსოფლიოს პოლიტიკური ჯანმრთელობა.

ბია პურდული 551 71 27 07



„როგორ გაგვიდრდნენ მდიდარი ქვეყნები... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“

მარიკ რაიხმარტი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტი. ის არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიის ავტორია. 2008 წელს პრესტიჟული მირდალის პრემიით დააჯილდოვეს წიგნისთვის „როგორ გაგვიდრდნენ მდიდარი ქვეყნები... და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორისა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ბატონი გია ჟორჯოლიანის ინიციატივით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის, საზოგადოების კვლევის ცენტრის, კავკასიური სახლის მხარდაჭერით, პროფესორი ერიკ რეინერტი თბილისში ჩამობრძანდა.

15 იანვარს თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) ჩატარდა ერიკ რეინერტის წიგნის „როგორ გაგვიდრდნენ მდიდარი ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“ პრეზენტაცია.

ერიკ რეინერტმა პრეზენტაციის ფორმატში უაღრესად საინტერესო საკითხებზე ისაუბრა. რეინერტმა ევროკავშირის, როგორც ინსტიტუციის, ფეოდალური ინსტიტუტი უწოდა, ხოლო ევროეთ წოდებულ ვაშინგტონის ინსტიტუტებს, კერძოდ, მსოფლიო ბანკს, სავალუტო ფონდს, გაეროს და სვადანსხვა საერთაშორისო ინსტიტუტებს მორგენთაუს გეგმის ბრმა შემსრულებლები (ჰენრი მორგენთაუ გახლდათ სახელმწიფო მოღვაწე, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი 1934–1945 წლებში, რომლის გეგმის მიხედვით, გერმანია უნდა გადაქცეულიყო აგრარულ ქვეყნად).

მან აღნიშნა, რომ ალფრედ მარშალის გეგმით არ ხელმძღვანელობენ მსოფლიო პოლიტიკის შემქმნელი ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტები, რაც ღარიბი ქვეყნების კიდევ უფრო გაღარიბებისა და მათი გაღატაკების, ხოლო მდიდარი ქვეყნების კიდევ უფრო გაძლიერების გამოწვევა უმთავრესი მიზეზია.

გთავაზობთ ფრაგმენტს ერიკ რეინერტის წიგნიდან.

თამარ დოლიძე,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი



ბლოკალიზაცია და პრიმიტივიზაცია, როგორ ღარიბდებიან ღარიბები კიდევ უფრო მეტად (V თავი)

„ვევლა ფერადკანანს უნდა აეკრძალოს ტილოს ან შალის ქსოვა, მატყლის დართვა და ჩეჩვა, რკინის ნებისმიერი სახით დამუშავება, სანამ თუჯად ან წაქედ რკინად ქცეულა. მათ ასევე უნდა აეკრძალოთ ქუდების, წინდების ან ნებისმიერი ტყავის ნივთის წარმოება... მართლაც, თუკი ისინი მრეწველობას შექმნიან და შემდეგ მთავრობას მისი დახურვა მოუხდება, არ უნდა გვეგონოს, რომ ეს ისევე მარტივად მოხდება, როგორც ახლანა შესაძლებელი“.

ჯოშუა ბი

დიდი ბრიტანეთის ვაჭრობისა და ნაოსნობის განხილვა, 1729 წ.

კოლონიები და სიღარიბე

მართალია, უსიამოვნოდ ვლერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზემოთმოყვანილი ციტატა ასობით წლის მანძილზე გაბატონებულ ეკონომიკურ პოლიტიკას წარმოაჩენს, არა რაიმე ზოგადს, არამედ იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელსაც ევროპა, თანამედროვე ეპოქის ადრეულ პერიოდში, ეკო-

ნომიკურად მოძლიერების შემდგომ ახორციელებდა. დღევანდელი გადმოსახედიდან ის მაინც განცვიფრებას იწვევს პირდაპირობის გამო, ვინაიდან ასე ღიად აღიარებს, რომ ამ პოლიტიკის მიზანი კოლონიების მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულის მომწოდებლებად ყოფნაა. ტრადიციულად, კოლონიებს მრეწველობის შექმნას ყოველთვის უკრძალავდნენ, რათა მთელი ყურადღება ნედლეულის

მიწოდებაზე გადაეტანათ. ახლაც, როცა კოლონიალიზმის ხსენება არაპოლიტიკორექტული გახდა, ის პრაქტიკაში მაინც გრძელდება.

წინა თავში ჩვენ ვერნერ ზომბარტზე დაყრდნობით ვამტკიცებდით, რომ ინდუსტრიალიზაცია თავისთავად კაპიტალიზმის ბირთვითაა მოთავსებული, მაშასადამე, კოლონიებისთვის ინდუსტრიალიზაციის აკრძალვა მათი სიღარიბისთვის გაწირვის ტოლფასი იყო. წიგნის ამ ნაწილში საუბარია იმაზე, თუ როგორ შეიძლება ინდუსტრიალიზაციამ საპირიპირო შედეგებამდე – რეგრესამდე და ეკონომიკურ პრიმიტივიზაციამდე მიგვიყვანოს. ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ მექანიზმს „ვანეკ-რეინერტის ეფექტი“ წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, მცისიერი თავისუფალი ვაჭრობის პირველი მსხვერპლნი ყველაზე ჩამორჩენილი სავაჭრო ქვეყნების ყველაზე განვითარებული ეკონომიკური

სექტორები ხდებიან. მზარდ უკუგებაზე დაფუძნებული „სასიკეთო წრეების“ საწინააღმდეგო მიმართულებით დატრიალებასთან ერთად, მსოფლიოს პერიფერიული ქვეყნები დეინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის დაღმასვლასა და მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას განიცდიან. ეს ის შედეგებია, რომელთაც დღეს სამხრეთ მექსიკიდან მოლდოვამდე ვხედავთ. ამ შემთხვევაში, მზარდი უკუგების მქონე ქვეყნებში მიგრაცია გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება.

ჯოშუა გის დროს ეკონომისტებს უკვე ნაფიქრი ჰქონდათ, თუ რა უნდა გაკეთებულიყო, კოლონიების მოსახლეობას თანდათან საკუთარი ინდუსტრიის ფლობის აკრძალვასა და სიღარიბეს შორის კავშირების აღმოჩენა რომ დაეწყო. გამოსავალი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე ნების დართვით, მათი შეცდომაში შეყვანა იყო:

„ვინაიდან, საკუთარი შემოსავლების გასაზრდელად, მთელი ევროპის პლანტატორებს თავისუფალ ბაზარზე მოხვედრის წყურვილი კლავთ, ისინი თვითონ უზრუნველყოფენ იმას, რომ ამ უზარმაზარი თავისუფალი ბაზრის არნახულ მოთხოვნას უპასუხონ. ამიტომაც ისინი აღარ იფიქრებენ მრეწველობაზე, ერთადერთ რამეზე, რამაც შეიძლება ჩვენი და მათი ინტერესების შეჯახება გამოიწვიოს...“ (მეთიუ დეკერი, „ეს საგარეო ვაჭრობის კვების მიზეზების შესახებ“, 1744).

დღევანდელ ვითარებასთან პარალელი მრავლისმეტყველია. დეინდუსტრიალიზებული განვითარებადი ქვეყნებისთვის ევრო-

კავშირსა და ამერიკაში სოფლის მეურნეობის ნაწარმის გატანა იმდენად მაცდუნებელია, რომ მათ ინდუსტრიალიზაციის სურვილი უქრებათ. თუმცადა, ჯერ არც ერთი ქვეყანა არ გაძლიერებულა მხოლოდ საკვები პროდუქტების ექსპორტით, ინდუსტრიული სექტორის ქონის გარეშე. მდიდარი ქვეყნების მზარდი დამოკიდებულება ღარიბების მიერ წარმოებულ საკვებ პროდუქტებზე ქმნის საშიშროებას, რომ ამ უკანასკნელთა საკვები თავად აღარ ყვით.

ესპანეთმა, რომელმაც, როგორც ვნახეთ, „ახალ მსოფლიოში“ ოქროსა და ვერცხლის მოპოვების გამო დეინდუსტრიალიზაცია განიცადა, მე-18 საუკუნის დასაწყისში გარკვეული ინდუსტრიების აღორძინება შეძლო. თუმცა, 1713 წელს, „ესპანური მემკვიდრეობისთვის ომის“ დასრულებისას, უტრეხტში, პოლანდიასთან საზავო მოლაპარაკებების დროს, მას ტარიფების დონის დაწვევა მოუხდა. ამის გამო იგი ხელახლა გადაიქცა დეინდუსტრიალიზაციისა და სიღარიბის მსხვერპლად. როდესაც დეინდუსტრიალიზაციის კატასტროფული შედეგები ნათელი გახდა, ესპანელებმა დაწვეს იმ ხალხის უმრავლესობა, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ გაკეთებულ დათმობებზე, ყველაზე იღბლიანები დაწვეამდე დახოცეს.

დაახლოებით 1750 წელს, გერმანულ ეკონომისტ იოჰან ჰაინრიხ გოტლიბ ფონ იუსტს უკვე დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა, რომ ყველა ის ქვეყანა, რომელსაც მხოლოდ ნედლეულის წარმოებას აიძულებდნენ, მალე მიხვდებოდა, რომ მიზანმიმართულად ტოვებ-



დნენ სიღარიბეში. მიუხედავად ამისა, იუსტიმ ვერ იწინასწარმეტყველა, რომ ადამ სმიტი და ინგლისელი კლასიკოსი ეკონომისტები მალე შექმნიდნენ იმგვარ ეკონომიკურ თეორიას, რომელიც, პირველად ისტორიაში კოლონიალიზმს მორალურად გაამართლებდა. სმიტის შრომები ეკონომიკურ და მორალის საკითხებზე კოლონიალიზმს პირდაპირ არ ამართლებდა. თუმცა სმიტის მიერ ნაქადგებმა თეორიულმა აბსტრაქციებმა შესაძლებელი გახადა სამართლიანად წარმოეჩინა, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ მრეწველობას, ზოგმა კი ნედლეულის წარმოებას უნდა მისდო. ვინაიდან შრომა საზომად იქცა (და სამუშაო საათებით ყველანაირი შრომის გაზომვა შეუძლებელია), დარიბი ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია, უბრალოდ, საჭირო აღარ იყო, რამდენადაც ამას არანაირი დამატებითი სარგებელი არ ექნებოდა.

ადამ სმიტისა და ინგლისელი კლასიკოსი ეკონომისტების მიხედვით, ამერიკული კოლონიები და დანარჩენი ევროპა, სერიოზულ შეცდომას დაუშვებდნენ თუ ინგლისის ინდუსტრიალიზაციის მაგალითს მიჰყვებოდნენ. დღევანდელი გლობალიზაციის მომხრე ფანტიკოსების მსგავსად, სმიტი



ყოფილიყო სახელმწიფო და კერძო აქტივობებს შორის.

თუ დავაკვირდებით, როგორ მიჰყავს ამერიკის გლობალიზაციის რიტორიკა დღეს, საოცარ მსგავსებას დავინახავთ მე-19 საუკუნეში ინგლისის მოქმედებასთან. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ შეერთებული შტატები მაშინ დიდხანს და მუხლჩაუხრელად იბრძოდა იმ ეკონომიკური თეორიებისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც დღეს ასე თავგამოდებით უჭერს მხარს. პირველი ამერიკელი ფინანსთა მინისტრი ალექსანდრ ჰამილტონი (1757–1804), გავლენიანი თეორეტიკოსი იყო, რომელიც ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობაზე მუშაობდა. ათ წელზე მეტი, ლექციებზე დოლარის კუპონებზე გამოსახული იმ ამერიკელი პოლიტიკოსების



ბა შედარებით ახალი მოვლენაა, როდესაც 1941 წელს უინსტონ ჩერჩილმა მთელი მისი შარში გამოიყენა პრეზიდენტ ფრანკლინ დ. რუზველტის დასარწმუნებლად, რომ ომში ჩაბმულიყო, ამ უკანასკნელმა ხელიდან არ გაუშვა შანსი, ინგლისის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიული უსამართლობის შესახებ თავისი იმედგაცრუება გამოეხატა. აი, როგორ ყველა რუზველტის ვაჟი ელიოტი, იმ ისტორიული შეხვედრის ამბავს, რომელიც ნიუფანდლენდის სანაპიროსთან მდგომ სამხედრო გემზე შედგა:

ჩერჩილი სავარძელში გადაწვა. — „ბრიტანეთის იმპერიის სავაჭრო ხელშეკრულებები...“ — დაიწყო მან მიმდევ.

მამამ შეაწყვეტინა: — „დაიხ. იმპერიის ეს ხელშეკრულებები კარგი მაგალითია. სწორედ მათ გამოა, რომ ინდოეთისა და აფრიკის, მთელი კოლონიალური ახლო და შორეული აღმოსავლეთის ხალხი ჯერ კიდევ ასე ჩამორჩენილად ცხოვრობს.“

ჩერჩილი კისერი გაუწითლდა და წინ წამოიწია.


— „ბატონო პრეზიდენტო, ინგლისი ერთი წუთითაც კი არ ფიქრობს ბრიტანულ დომინონში მისი მოწინავე პოზიციების დათმობას. ვაჭრობა, რომელმაც ასე გააძლიერა ინგლისი, უნდა გაგრძელდეს და ისიც მხოლოდ ინგლისელი მინისტრების მიერ დადგენილი პირობებით.“

— „იცით“ — თქვა მამამ მშვიდად, — „აქ დიდი ალბათობით ერთმანეთს ვერ დავეთანხმებით უინსტონ, მე მტკიცედ მწამს, რომ თუკი სტაბილურ მშვიდობას მივალწევთ, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს ჩამორჩენილი ქვეყნების, ჩამორჩენილი ხალხების განვითარებას, როგორ შეიძლება ამის მიღწევა? რა თქმა უნდა, ეს მე-18 საუკუნის მეთოდებით ვერ მოხერხდება.“

— „ვინ ლაპარაკობს მე-18 საუკუნის მეთოდებზე?“

— „თქვენ, მინისტრები, ვინც რეკომენდაციას უწევს პოლიტიკას, რომლითაც კოლონიებიდან დოვლათი ნედლეულის სახით გამოდის, სანაცვლოდ კი არაფერი უბრუნდება იმ ქვეყნის მოსახლეობას. მე-20 საუკუნის მეთოდები ამ კოლონიებში ინდუსტრიალების შეტანას გულისხმობენ. მე-20 საუკუნის მეთოდები მოიცავენ ხალხის სიმდიდრის გაზრდას მათი ცხოვრების დონის ამაღლებით, მათი განათლებითა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებით — იმის უზრუნველყოფით, რომ ისინი საკუთარი ნედლეულის სიმდიდრიდან შემოსავალს მიიღებენ.“

მამასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ ჯერ კიდევ, დაახლოებით, 60 წლის წინათ ამერიკა ძალ-ღონეს




არ იშურებდა იმ ეკონომიკურ თეორიასთან დასაპირისპირებლად, რომლის მიხედვით, ყველა ქვეყანას შეუძლია გამდიდრდეს განურჩევლად იმისა, თუ რას აწარმოებს. ჩემი ლათინოამერიკელი ცინიკოსი მეგობრები ალბათ იტყვოდნენ, რომ ეს იყო ამერიკული შთქმულების ნაწილი გლობალური ჰეგემონის — ბრიტანეთის, ადგილის დასაკავებლად. ჩემი აზრით, მარშალის გეგმა კარგად აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო. სინამდვილეში, 1776 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე, ამერიკული ეკონომიკური პრაქტიკა წარმოადგენდა ხანგრძლივ ომს იმ ეკონომიკურ თეორიებთან, რომელთაც დღეს ისინი განვითარებად ქვეყნებს თავად ახვევენ თავს. თუმცა ამას მარტო ამერიკა არ აკეთებდა, როგორც უკვე დავრწმუნდით, ამგვარი აზროვნება, რომლის მიხედვით მხოლოდ კონკრეტული ეკონომიკური დარგები ქმნიან სიმდიდრეს, უწყვეტად არსებობდა მე-15 საუკუნიდან ჩერჩილისა და რუზველტის საუბრამდე, უფრო ვრცელი ისტორიული პერსპექტივის ფონზე, რწმენა იმისა, რომ ბაზარი ავტომატურად დაამკვიდრებდა პარონიას, შეზღუდულია მხოლოდ რამდენიმე, მალევე მივიწყებულ ისტორიულ ეპიზოდამდე.

ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს წარმოადგენდა პერიოდი, როდესაც 1840-იან წლებში, ადამ სმიტის საგაჭრო თეორიამ პირველად გადაკვეთა თეორიასა და პრაქტიკას შორის საზღვარი, ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, ამგვარად, 1904 წელს, კემბრიჯელ ეკონომისტ უილიამ კანინგჰემს ყოველგვარი თავის მართლებას გარეშე შეეძლო დაეწერა წიგნი სათაურით „თავისუფალი ვაჭრობის მოძრაობის

აღმასვლა და დაცემა“. იმედი ვიქონიოთ, რომ სამყაროს ღარიბთა ხათრით ამ სათაურის მქონე წიგნი მალე კვლავ გამოიცემა. თუმცა, საინტერესოა, რომ გლობალიზაციის ადრინდელმა ტალღებმა იმ დროს გადაიარა, როცა თავად ჰეგემონს შეექმნა პრობლემები. მაშინ გლობალიზაციამ ისევე გაანადგურა ინგლისის სოფლის მეურნეობა, როგორც ის დღეს ამერიკულ მრეწველობას ანადგურებს.

1990 წლიდან მოყოლებული ჩვენ კიდევ ერთხელ ვაწყდებით ამგვარ ისტორიულ ეპიზოდს. თანამედროვეობისაგან განსხვავებით, მე-19 საუკუნის ინგლისის სავაჭრო თეორიას მუდმივად თავს ესხმოდა საპირისპირო თეორიული ტრადიცია, რომელიც შეერთებულ შტატებსა და კონტინენტურ ევროპაში წარმატებით ხორციელდებოდა. შედეგად, მან უმეტესად მხოლოდ მესამე სამყაროს დაზიანება შეძლო. დღევანდელ სიტუაციაში არის საფრთხე მისა, რომ ალტერნატიული, წარმოებაზე ორიენტირებული თეორიები, შესაძლოა, მთლიანად გაქრნენ. ნეოკლასიკურმა პარადიგმამ და მისმა მემკვიდრეებმა მონოპოლია შექმნეს იმაზე, რაც მისაღებ ეკონომიკურ თეორიად მიიჩნევა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ღარიბთა მდგომარეობა, სანამ უკეთესობისკენ შეიცვლება, უნდა გაუარესდეს, ჩვენ, ალბათ, 1848 წლის რევოლუციების მსგავსი აქტის გლობალურ ვერსიას უნდა ველოდეთ. მსოფლიო ჰეგემონებმა „თავისუფალი ვაჭრობა“ და იდეოლოგიურ ლიბერალიზმში ორჯერ უარყვეს. ხოლო ღარიბი, ჩამორჩენილი ქვეყნებს დაგვიანებული ინდუსტრიალიზაციის საშუალებით გაძლიერების შესაძლებლობა მისცეს. ორივე შემთხვევაში — 1848 წლისა და 1947 წლის შემდეგ — ეს მოხდა მაშინ, როცა მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს კომუნისტური საფრთხე დაემუქრა. სადამდე მიგვიყვანს დღევანდელი რელიგიური ფუნდამენტალიზმის შედეგები, ჯერჯერობით უცნობია.


მთარგმნელები:
ტატო ხუნდაძე,
ივანე აბრამაშვილი



და მისი მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ მსოფლიო ეკონომიკის პარონიის ხანა ავტომატურად დადგებოდა, როგორც კი საბაზრო ძალებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცემოდათ. შედეგად ინგლისის მსოფლიოს ოთხი კუთხიდან შეეძლებოდა ნედლეული მასალის შემოტანა და სანაცვლოდ მზა საქონლის გატანა. არც ერთმა გავლენიანმა ევროპულმა სახელმწიფომ ყურად არ იღო ეს რჩევა. ნორვეგიაში მე-19 საუკუნის ეკონომისტებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ „თავგამოდებულ ლიბერალებად“ ითვლებოდნენ, მაგალითად, ანტონ მარტინ შვაიგაარდი (1808–1870) თანხმდებოდნენ, რომ ინდუსტრიალიზაცია ქვეყანაში აქტიური პოლიტიკის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო, მე-19 საუკუნის კონტინენტურ ევროპაში მიმდინარე იდეოლოგიური დებატები ეხებოდა არა იმას, უნდა მიჰყოლოდა თუ არა დანარჩენი ევროპა ინგლისის ინდუსტრიალიზაციის გზას (ამაზე, ფაქტობრივად, ყველა თანხმდებოდა), არამედ იმას, თუ როგორი ბალანსი უნდა

სურათები დამქონდა, რომელთა სტრატეგიები ვაშინგტონის ინსტიტუტებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა: ბენჯამინ ფრანკლინის, ჯორჯ ვაშინგტონის, ალექსანდრ ჰამილტონის, ულის ს. გრანტისა და აბრაამ ლინკოლნის. ყველა მათგანს სატარიფო პროტექციის მეშვეობით შეერთებული შტატების ინდუსტრიალიზაცია სურდა. ეს ცალსახად ეწინააღმდეგებოდა ინგლისელი ეკონომისტების რჩევებსა და 150 წლის განმავლობაში მათი პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების მიერ გაკეთებულ უამრავ სარკასტულ შენიშვნას. მე-19 საუკუნეში აშშ-ში პოპულარული იყო გამოთქმა „არ გააკეთო ის, რასაც ინგლისელები გეუბნებიან, გააკეთე ის, რაც ინგლისელებმა გააკეთეს“. როგორც მე-2 თავში ავლინდნენ, დღეს მესამე სამყაროსთვის საუკეთესო რჩევა იქნებოდა — „არ გააკეთო ის, რასაც ამერიკელები გეუბნებიან, გააკეთე ის, რაც ამერიკელებმა გააკეთეს“.

ღარიბი ქვეყნების უფლებების დამცველიდან, კლასიკურ იმპერიულ ძალად აშშ-ის ჩამოყალიბებ-



კორონავირუსი - ეს არის მასობრივი განადგურების იარაღი, რომელიც უხანის ლაბორატორიაში დაგეგმულა და რომელიც მილიონობით ალამიანს იმსხვერპლავს?

რა კავშირი აქვს ბილ გეიტსს მისნიერთა იმ ჯგუფთან, რომელმაც ეს ვირუსი შექმნა?

თერმობირთვული პანდემიის კორონავირუსის გავრცელება ძალიან საშიშ კოეფიციენტს 3,8 მიუახლოვდა. 1918 წელს პანდემია „ესპანკამ“ რომლის ნიშნული 1,8 იყო მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დოქტორები ერთი ფაიცი-დინგი და ნეილ ფერგასონი ტვიტერზე აქტიურად განიხილავენ აგრესიული ვირუსის მიმდინარეობას და მას სუპერ საშიშს უწოდებენ. აღმოჩნდა, რომ ვირუსი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ინკუბაციის პერიოდი ორი კვირა აქვს. ანუ, ინფიცირებულს შესაძლოა ათ დღეზე მეტი არაფერი აწუხებდეს და ვირუსი სხვებსაც გადადოს. როგორც ირკვევა პირველი შემთხვევა უხანში რვა დეკემბერს დაფიქსირდა, ოფიციალურმა პირებმა ინფიცირების ფაქტი დამალეს. თუმცა ინფორმაციამ სოციალურ ქსელში მაინც გაჟონა. პასუხისმგებელმა პირებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ ვირუსი კონტროლირებადი და მკურნალობას ექვემდებარება. პოლიციამ ინტერნეტის საშუალებით „ჭორების გამავრცელებელი“ რვა ადამიანი დაკითხა... წამყვანმა ვირუსო-

კარანტინი ჩინეთის თვრამეტ ქალაქში გამოცხადებული. ამ ქალაქებში მოსახლეობის საერთო რაოდენობა ორმოცდათექვსმეტ მილიონს აჭარბებს. უხანს იცავს ორმოცდაათათასი შეიარაღებული ადამიანი. მათ მიიღეს ბრძანება ადგილზე აღვირთონ ყველა, ვინც პერიმეტრის დატოვებას შეეცდებოდა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე ხუთმა მილიონმა ადამიანმა დატოვა პროვინცია და არაფერიც მათგან რამდენი იყო ვირუსის მატარებელი... სოციალურ ქსელში ვრცელდება არაერთი ვიდეომასალა სადაც ნათლად ჩანს «ჩაპრესილი» სატვირთო ავტომანქანიდან როგორ გადმოდის დაახლოებით ასი ან მეტი ახალგაზრდა რომლებმაც მოახერხეს და დატოვეს ინფიცირებული ტერიტორია. ტვიტერზე გავრცელებული ვიდეო მასალაში, რომელიც სავარაუდოდ ყურნალისტის მიერაა გადაღებული ისმის სროლა, ცარიელ ქუჩებში დგას სისხლის გუბები. კომენტარებში სამწუხარო ინფორმაციებს წერენ, რომ ინფიცირებულ ადამიანებს პირდაპირ ქუჩებში ხოცავდნენ და შემდეგ წვავენ.

დამიდასტურა ეჭვები რომელიც არა მარტო მე მამინებდა, სიტუაცია მართლაც აპოკალიფსურია. ნათესავმა მოსამზადებლად გამომიგზავნა ფული და მითხრა, რომ მომზადება მჭირდება სასწრაფოდ ეხლავე და არა ხვალ, ან ერთ კვირაში. ეს არის სინამდვილეში „ქიმერული“ ვირუსი, რომელიც გენეტიკურად არის შექმნილი მასობრივი განადგურებისა და გავრცელებისთვის, ამიტომ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო ფორუმში, იცოდეთ, რომ ჩვენ ახლა DEFCON1. მდგომარეობაში ვართ გახსოვდეთ, რომ ეს ყველაფერი მორგებული როლის თამაში არ არის. თქვენ უნდა დაგვემოთ თქვენი და ახლოობების სიკვდილი ან სიცოცხლე. სანამ ყველაფერი „ნორმალურად“ არის მოქმედებში. სანამ მოქმედების ფანჯარა ღიაა მოასწარით. მასიური ისტერია როდესაც დაიწება, ყველა გზა ჩაიკეტება და ძალიან გვიან იქნება. ფაქტია, რომ ჩინეთში კარანტინით ჩაკეტეს ორმოცდათექვსმეტი მილიონი ადამიანი. ჩვენ უხეში და ბნელი რეაქციის წინაშე ვდგევართ. მართალია, ხალხი ამას ვერ ამჩნევს, მაგრამ ძალი-



აეროპორტები, საგრობლად შემცირდება საკვები. მედიკამენტები. პირველ რიგში ჯანდაცვა ჩამოიშლება. საუბრადმოფოფები გახდებიან სასიკვდილო ხაფანგები მათთვის, ვინც პანიკაში ჩაფრდება და გასინჯვის მიზნით მათთან გაიქცევა.

ამ კანადელი ჯენტლმენის გაფრთხილება მისაღება თუ არა ვინ იცის, მაგრამ ფაქტია — ღობეს მიღმა ორმოცდათექვსმეტი მილიონი ადამიანია განთავსებული — ეს ხომ რეალურია და ისიც რეალურია სროლა ქალაქში (ხმა)? (24 იანვარი) ვიდეომასალა. კომენტარი: ახლახანს შევედი ჰუბის პროვინციაში, სადაც დაიწყო დაუადება. პრაქტიკულად არავინ არ არის ქუჩებში. საგუმაგოზე პოლიციამ თქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია შევიდეთ, მაგრამ ისინი უკან არ გამოგვიშვებენ. როგორც ჩანს, იბლოკება მთელი ჰუბის პროვინცია, სადაც ოცდაათი მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ახლო წარსულის მასალების კითხვა ზოგჯერ ბევრს ემბრება აწმუში. ასე რომ, ვუხანში «მოულოდნელად» გავრცელებული პანდემიის დროს, აღმოჩნდა, რომ ვირუსის წარმოების სუპერ ლაბორატორია არსებობდა Wuhan P4 და რატომაც ისე უცნაურად «დაემთხვა», რომ სწორედ აქ გავრცელდა ეპიდემია. შემდეგ გაირკვა, რომ ბილ გეიტსმა უკვე მოახდინა სუპერკომპიუტერზე ასეთი ეპიდემიის სიმულაცია და ეს მხოლოდ ამჟამინდელ ვითარებას აჩვენებს: «ახლა კი ცხადი ხდება, რომ 5G ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ვუხანში პირველად იგეგმება. ჩვენ არ ვიცით, ზუსტი მიზანი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ახალი საკომუნიკაციო სისტემის ტალღები უარყოფითად აისახება როგორც ბუნებაზე ასევე ადამიანებზე და ცხოველებზე. ხაზგასმულია ვირუსული ინფექციის დაკავშირებული სიმპტომები: თვალის დაზიანება — კატარაქტა, ბადურის დაზიანება ძლიერი ოფლიანობა. კანის დაზიანება, იმუნური სისტემის დაქვეითება, მეტაბოლური პროცესების მოშლა, ნევროლოგიური დარღვევები, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, კიბოს განვითარების რისკი, დეპრესია და თვითმკვლელობა. ანტიბიოტიკების მიმართ ბაქტერიული წინააღმდეგობის



ლოგმა, რომელმაც 2003 წელს მიიღო მონაწილეობა SARS ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში, უხანის მონახულების შემდეგ, გამოთქვა შემოფოტება იმის გამო, რომ კორონავირუსი „კონტროლირებადი“ ვაქცინაა. ამ დაუადების გავრცელება სხვა ქალაქებში ხელისუფლების მხრიდან უპასუხისმგებლობის, ფაქტის დამალვის და სიტუაციის არასწორი შეფასების გამო მოხდა. 24 იანვარს სადამოს, ოფიციალური ცნობით დაღუპული იყო ორმოცდათექვსმეტი ადამიანი, ორათასზე მეტი ადამიანი კი დაინფიცირდა. ამჟამად, ვირუსი გავრცელდა შეერთებულ შტატებზე და ევროპაში, სამი შემთხვევა დადასტურდა საფრანგეთში. ამ დრომდე დაზარალებულები ძირითადად ორმოციდან ოთხმოცდახუთ წლამდე ასაკში ხვდებოდნენ. თუმცა ოცდათექვსმეტი წლის ასაკის ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანიც გარდაიცვალა და მცირეწლოვნებსაც აღმოაჩნდათ ვირუსი. პონგ კონგის უნივერსიტეტის ახალი ინფექციური დაავადებების სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორი, ამბობს, რომ უხანის მდგომარეობა უკვე „უკონტროლო“ ლონდონის, „იმფერიალ კოლეჯის“ ინფექციური დაავადებების მკვლევარი, ექიმი ნატალი მაკდერმონის განცხადებით, ახალი კორონავირუსი განსაკუთრებით საშიშია საშუალო ასაკისა და ასაკოვანი ადამიანებისთვის, რომელთაც ადრე გარკვეული დაავადებები აქვთ გადატანილი. კორონავირუსის გამო

არსებობს უამრავი ვიდეო მასალა რომელიც გადატვირთულ საავადმყოფოებშია გადაღებული. სადაც კორიდორში ავადმყოფები ზიან, ფეხზეც დგანან ხოლო მიცვალებულები იატაკზე ზეწარ გადაფარებულები ყრიან... უცხოური მედია ინფიცირებულების და დაღუპულების შესახებ აცენილია ციფრებში. Halturnerradioshow-ის ცნობით, ინფიცირებულთა რიცხვი გაიზარდა 3,000,000 + მდე, დაიღუპა უხანში 90,000, გარდაცვლილთა რიცხვი მთელს ჩინეთში 156,000. პონგ-კონგში სკოლები დაიხურა. ამასთან, ქალაქში გამოცხადებული ჯანდაცვის „სერიოზული“ მდგომარეობა „საგანგებოთ“ შეცვალეს. სხვადასხვა ქვეყანაში კი დაინფიცირებულთა რაოდენობა მატულობს. ამ დროისთვის ავსტრალია ვირუსის ახალ შემთხვევებს აღასტურებს. ქვეყანაში ამბობენ, რომ დადასტურებულად ვირუსი ოთხ ადამიანს აქვს, რამდენიმე ადამიანზე კი ინტენსიური დაკვირვება მიმდინარეობს. ახალი შემთხვევები ფიქსირდება მალაიზიაში, სამხრეთ კორეაში, იაპონიაში, ტაილანდში, ევროპაში ონლაინ ფორუმზე განხილვის საგანი გახდა კანადის მოქალაქის მიერ GLP-ზე განთავსებული პოსტი. აი, რას წერს იგი — „მე მყავს ოჯახის წევრი, რომელიც მუშაობს Big-Pharma-ში, მის არ ახურავს ფოლგის ქუდი და არ არის გატაცებული შეთქმულების თეორიით. იგი ამ დღით დამიკავშირდა ჩინეთში „აფეთქებულ“ ვირუსთან დაკავშირებით და

ან მალე ცუდ ახალ ამბებს გავიგებთ ჩინეთიდან და სხვა დიდი ქალაქებიც დაიკეტება. საქმე გვაქვს მასობრივი განადგურების იარაღთან, გენეტიკურად მოდიფიცირებულ ბიოლოგიურ იარაღთან, რომელიც უხანის ლაბორატორიაში დაგეგმულა. ეს არის ფაქტი, არ არის გამოგონილი, არ არის მასალა უგუნურებისთვის ფოლგის ქუდებში. დაბრუნების წრტილი, როგორც ჩანს, არ დასრულებულა. ვირუსი ვრცელდება უფრო სწრაფად, ვიდრე ოდესმე სხვა ვირუსი გავრცელებულა, როდესაც ის გაიჭრება ჩინეთიდან, დაიწება მსვლელობას მკვლელობით. მილიონობით, შესაძლოა მილიარდი ადამიანი მოკვდება უახლოეს თვეებში. საზოგადოება განადგურდება გლობალურად, არ იმდრავებს ტრანსპორტი, დაიკეტება



გაზრდა და ბაქტერიული მუტაციების გაზრდა. მცენარეების და ხეების დაზიანება. სიტუაციას ამძიმებს სპეციალისტების განმარტება, რომ თუ 5G აქტიურებს ბაქტერიულ მუტაგენებს, მაშინ ეს ტალღები კიდევ უფრო დაჩქარებს ვირუსის მუტაციას. აქ არის ვირუსი და მუტაცია ცოტა. მართალია, ოდნავ განსხვავდება ის, რასაც ელოდნენ მოწინავე ელექტროტექნიკის შემქმნელები. ზოგადად, ქალაქ უხანში ვირუსის გავრცელების შემდგომ უცნაური აღმოჩენები ხდება რაც აღრმავებს ეჭვს საფუძველს, რომ ვირუსის გავრცელება «შემთხვევით» არ მომხდარა და გრძელვადიან «შედეგებზე» გათვლილი. წერს ფორუმელი. ინგლისელი ფორუმელი სტივის განმარტებით კი 2015 წელს დიდ ბრიტანეთში ინსტიტუტ Pierbrite წარმოდგენილი გახლდათ კორონას ანტივირუსი. მკვლევარების ავტორს კი ბილ და მელისონ ვეაუსი ვეინანსება. «შესანიშნავი» ანტივირუსი ერთ ან ორ თვეში «გამოჩნდება». სხვა სპეციალისტები (ვირუსოლოგები) ფორუმზე ამტკიცებენ, რომ თუ ვერ მოხერხდა ვირუსის მოკლე დროში შეჩერება ის უფრო მდგრადი გახდება და დიდი შანსია შეუერთდეს ჩვეულებრივ გრიპის ვირუსს... ტორინტოს ინფექციონისტი დოქტორი ალისონ მაკეირის განცხადებით «ჩვენ კაცობრიობისთვის უახლესი ვირუსის შესახებ უსწრაფესად უნდა გაავრცელოთ ყველაფერი და ისიც, რამდენად შესაძლებელია მთელ დედამიწაზე მისი გავრცელება... სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნოეთიერებამ რომლითაც ინფიცირებულ პროვინციების დეზინფექცია ხდება წყალსაცავებში თევზის, ცხოველების და ფრინველების მოწამლა გამოიწვია. მკვლევარი თევზები ნაპირთან იხრწებიან და ვინ იცის რამდენი ცხოველი თუ ფრინველი «ავტომონებს ნადავლს»... ასე, რომ სიტუაცია რეალურად საგანგაშოა და რატომაც ჩვენს ქვეყანაში დამამუხრებელი ინფორმაციები ვრცელდება.

მართალია, მთელი მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები ეძებენ გზებს ახალ ვირუსთან საბრძოლველად. მაგრამ ჯერ არც მისი მკურნალობის გზებია ცნობილი და არც ვაქცინა არსებობს. ჩვენს ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემას ჩვეულებრივ ვირუსთან ბრძოლა უჭირს და «არაჩვეულებრივს» დაამარცხებს? ან, კორონავირუსის მატარებელი თუნდაც ერთი ადამიანი სად უნდა მოათავსონ, არიან ამისთვის შხად? როგორ უნდა უმკურნალოს? გაუმკლავდება პანდემიას თუნდაც ეპიდემიას?... ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი ჩინანს და უჩინოს დღეს ერთნაირად უნდა აწუხებდეს რადგან თუ დემოთმა გაგვიწერა მანინი წითელ ხილამდე ვერ მიაღწევინ. მანამდე კი «კორანტირებულ ქვეყანაში» ეკონომიკა ბლომდე ჩამოქცევა...

სულ არ გვეზინია ჩვენ ვირუსის!



ნაციონალურმა უარესი ვირუსი არ იქნება ეს კორონა თუ რაღაც უბედურება.

ხელისუფლებაში რომ იყვნენ, მაშინ ხომ გვეწმინდავდნენ, გაოპოზიციონერდნენ და ყველანაირ შხამს და გესლს ანთხევდნენ, ყველა აკრძალულ და აუკრძალავ ხერხს და მეთოდს იყენებდნენ, ოღონდ როგორმე ხელისუფლება ხელში ჩაიგდონ და ქართველ ხალხს ისევ კისერზე მოაჯდნენ.

ბოლო დღეებში ყველა ქართველ სატელევიზიო არხზე, ყველა საინფორმაციო გამოშვებაში თვალდაფანარებული ლევან საბეიშვილი გამოჰქვიშა — ხელისუფლების წარმომადგენელს ვინმეს ბუნი რომ აუფრინო, ციხეში გაგამწყვებენ და ჩვენ ვინაგრებიო.

მწარედ მეცინება, ამხელა პროვოკატორი რომაა ეს ჩემი „ზემილიაკი“ — ჩოხატაურილი „რევილუციონერი“ საბეიშვილი და ტყუილს რომ გვიკეთებენ გლახად გაკეთებული დოქის ტუჩივით მოღრეცილი პირით.

ვინაა შემასუსხებელი, არც ერთ ფურნალისტს ან რეპორტიორს არ უკითხავს მისთვის, მაგალითად, მთვარისა ნავერანს რომ ჩასცხო მამლაყინწა გვარამიამ, იმაზე პასუხი რატომ არ უგია, არც კი გამოუკითხავთ პატივცემული ნიკოლოზი, არათუ დაუსვია ვინმეს. არც ქალთა უფლებების ე.წ. დამცველებს და „ფუჩუ“ ორგანიზაციებს ამოუღიათ ხმა — ქალი იჩაგრებაო. ეს ერთი შემთხვევა გამახსენდა ახლა, თორემ მსგავსი ორმაგი სტანდარტი რამდენიც გინდათ, იმდენია.

საბეიშვილი კი ყვირის და ჯდავის. მაგრამ ყველაზე საინტერესო მანც ის არის, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერზე და ყველაფრის გამო ბიძინა ივანიშვილს რომ აღანაშაულებენ.

თქვე მენტალურად დუხჭირებო, ბიძინა ივანიშვილი რომ არ იყოს, ერთმანეთს დაერეოდით, დაძიებნიდით, ქვეყანას დააქცევდით და თქვენი დორბლიანი, თმაშეღებილი და დაბოტოქსებული ბელადის, მიშკო გარეკელის მიერ ბოლო ხანებში კაკასიაში ისედაც ბევრჯერ შერცხვნილებს კიდევ უფრო მოგვეჭრებოდა თავი.

ოპოზიცია არა კვახი! ოპოზიციად ვინც დღეს თავს წარმოადგენს, თავის დროზე ყველა ერთმანეთს „ებრძოდა“, ახლა გაერთიანდნენ ვითომ, სინამდვილეში, ივანიშვილისადმი ბოლმამ გააერთიანა ესენი და იმან, რომ ბიძინა ივანიშვილს ზოგიერთ მათგანზე ცოტა მეტი ფული აქვს. გაგვიცინებინათ და სწორედ ამასია საქმე, თორემ ქვეყანა და ხალხი ამათ სულ ფეხებზე ჰკიდიათ.

მაგალითად, წლების წინ შალვა ნათელაშვილი ამბობდა: „გიგი უგულავა იყო სააკაშვილის რეპრესიული რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი ჯგალათი. 7 ნოემბრის მთავარი ჯგალათი“...

მოგეხსენებათ „პარლუმენტარული“ მოდიოდნენ სულ ახლანახანათელაშვილი და უგულავა დედამ ქალაქის მთავარ მოედანზე, „რუსეთში“ ივანიშვილის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე.

მათ მხარესაა გაჭირვებულ ქართველ ხალხზე მოძალადე და ეკონომიკურად ბეჭებზე მათი არაერთხელ დამდები, „ლელოს“ მსურველი, ვითომ ბიზნესმენი, პალსტუხანი ყაჩაღი მამუკა ხაზარაძე, რომელზეც სააკაშვილი ადრე ამბობდა: „ხაზარაძემ და ამ კრიალოსანმა ბიჭებმა, ხელფართხუნა ტანსაცმელში ჩაცმულებმა უნდა გაარღვიონ (ის) წრე, ვიდაც უფრო წვრილი მევახშეები დაემატოს, ერთი მევახშის ბატონობის მე-8 წლისთავსო“.

„როცა პრეზიდენტი ხარ და პასპორტს იცვლი და ამბობ, რომ იცით, რა, დამიჭერდნენ და ა.შ. და მთავარსარდალი ხარ, იქ ჩემთვის მთავრდება „ყველაფერი“. — საპასუხოდ დალაღებდა „ხაზარა“ მიხეილ სააკაშვილზე.

„აქცია ვმართავთ თი-ბი-სი ბანკისა და მისი მუპატრონის, ბანდითი ხაზარაძის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი ბიზნესრეკტიორი ქვეყანაში“, — გაპკიოდა გიორგი გუგავა ლეიბორისტების მიერ მოწყობილ საპროტესტო მიტინგზე.

ელისაანი ალექო ახლა რომ ხელისუფლების და ბიძინა ივანიშვილის იდეურ მტრად გვევლინება და იმ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, სინამდვილეში, დაბოლმითა კავშირს რომ უდგას მხარში, ადრე „ნაციონალის“ წევრებს თითს უქნევდა: „თქვენი ბოღვით შეპყრობილი შიზოფრენიკი დააკეთე თუ შეიძლება. რაღაცა სისხლები და ვაიმე, ქინძი ვიყო და თან შამურით რომ ლაპარაკობს, გაგიჟდება კაცი, რა. ის კაცი დააკეთე“.

ხოლო გუბაზი, მამამისის, ლევან სანიკიძის მრავალჯერადი სირცხვილი და თავის მოჭრა, კაცი, რომელიც მიშა სააკაშვილზე ამბობდა: „ავისტოს მერე (2008 წლის აგვისტოს ომზე ლაპარაკობს — ი.კ.) აი, ამ ბიჭმა, მიშკომ, აი, ეს გააკეთა და ამისთვის არის დასასჯელი და ამას არ ვაპატიებ მე, ყველამ რომ აპატიოს“. ამის მერე იყო, სულ ახლანახან მიშკოს რომ ესტუმრა კიევში და საქართველო გადასარჩენიო და მიშას უნდა მივმართო დასახმარებლად რომ გამოაცხადა, ამ ცომის გუნდამ. გამდიდრება მინდაო 2012 წლის სატელეფონო ჩანაწერში რომ ბურდღუნებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, არ ბურდღუნებს, სხლავს და ტიკტიკებს ნინო ბურჯანაძე, რომელიც ადრე ამბობდა: „გპირდები,

საქართველოს მოსახლეობას, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აუცილებლად ჩავდებ პოლიტიკურ სამარეშიო, მოგესხენებათ, ქალბატონი ნინოც „ნაციონალის“, ანუ მიშას კულების და მისი თანამოაზრეების გვერდით დადგა, როგორც კი კრიზისი დაუდგა საქართველოს და კრიზისი კი კარგა ხანია უდგას ჩვენ ქვეყანას შინაური მტრების გამო, რომლებიც ერთს გაბუტებიან და მაშინვე ამერიკას მიემგზავრებიან, ან ვეროპას მიაშურებენ ხოლმე ბიძიებთან და ბიცოლებთან ჩვენი ქვეყნის, ხალხის, საკუთარი სამშობლოს დასასმენად და „ჩასაბოხებლად“ ისე, როგორც ამ ბოლო დღეებში ლომჯარია დაგვემუქრა: სტრასბურგში წავალ და თავს მოვიდრეკ, მუხლს მოვიფრე, ოღონდ ესენი დამასჯევენაო.

ლომჯარიას რაც შეეხება და მის სახალხო დამცველობას, ეს ცალკე და ვრცელი საუბრის თემაა, ამიტომ მანამდე „ქალბატონი“ ძმების — ბერძენიშვილების სიტყვაკაზმულობებს უსმინეთ.

დავით ბერძენიშვილი: „მიშა სააკაშვილთან ერთად შეუძლებელია ოპოზიციური კოალიციის გამარჯვება“.

„ის არის საქართველოს პრეზიდენტი და ღირსების გრძობის ნატამალი არ აქვს“, — დასძენდა თავად ღირსებასთან ძლიერმწყრალი ლევან ბერძენიშვილი.

ბოლოდროინდელ მოვლენამდე ცოტახნით ადრე ზურაბ „გირჩს“ წამოსცდა სიმართლე და თქვა: „ოპოზიცია არის ნაგავი“!

ოპოზიციონერ საბეიშვილს რომ წამოართყვს (ჭკუას მინც ვერ სწავლობს და რა გინდათ), მიცვივდნენ საკრებულოსთან თამარ დეკანოიძე, თამაშვადარავებული ზალიკო უდუმეილი, ნიკოლოზ ვაჩიშვილი — გურულობის „პონტში“ და სხვანი და

სხვანი, ოპოზიციონერნი, მწუხარე სახეებით და დაემეს საბეიშვილის წამოთქება და უკაკუნეს საკრებულოს კედლებს და კარებს.

მერე მსხვილბარკლიანმა (ფეისბუკზე შეარქვეს) გიგი უგულავამ გამართა ასევე მშფოთვარე პრესკონფერენცია.

ამასობაში კონგრესმენები წერენ და წერენ ჩვენი და ჩვენი ხელისუფლების საწინააღმდეგეო მოწოდებებს და პეტიციებს.

კორონავირუსი კი მოაბიჯებს ჰელოუინის საფრთხობელასავით დიდი თავით, ფართო ნესტოებით და წვრილი თვალებით, ღამურას ფრთებით და გველის გენით.

რას უუძობთ? — ხანდახან მწარედ მეცინება ამაზე, მაგრამ არაუშავს — დრო ყველას და ყველაფერს მიუჩენს თავის ადგილს, ყველას გაუსწორებს ანგარიშს, როგორც მსცოვან თენებ სიგუას, რომელიც ახლობლებმა ისე დაასაფლავეს, პანაშვილებიც გაასაიდუმლოეს და დაკრძალვის ადგილიც. დრო გავა და ყველაფერს და ყველას დაერქმევა თავისი სახელი. როგორც ადამიანების ცხოვრებას, ისე სახელმწიფოების და ერების ცხოვრებასაც.

ქართველმა ერმა ვაჩვენეთ და დავუმტკიცეთ მსოფლიოს, რომ შევიძლია თანაცხოვრება მახინჯ და ბნელ ძალასთან და კოპაბიტაციის მძიმე და უსამართლო გამოცდაც ჩავაბარეთ, ისე, რომ ვერავინ გამოიშვერს თითს ჩვენსკენ ნაცების მიერ მოსყიდული ორიოდ კონგრესმენის მეტი და ვერ იტყვის, რომ ჩვენ არადემოკრატიულად და არაცივილიზებულად ვცხოვრობთ ამ უსამართლობით გააქვნილ და დაღლილ მსოფლიოში.

ირანდა პალანდამი 593 56 11 18



დევიდ სარნოფი - კასი, როგორც დროს გაუსწრო

პირველი რადიოსიგნალი „SOS“ – ჩასაძირად განწირული „ტიტანიკიდან“ ბელორუსის პატარა სოფელში დაბადებულმა ბიჭუნამ მიიღო და განსაცდელში ჩაყარა მისი ადამიანების გადარჩენაშიც მიიღო მონაწილეობა. რადიოტალღის ძალით ადფრთოვანებული იგი ჯერ რადიოლებს ყიდდა, მერე კი ტელევიზორებს და ამ საქმეში დიდ წარმატებასაც მიაღწია. ამასთან, დევიდ სარნოფმა ათი პრეზიდენტის მრჩეველადც მოასწრო მუშაობა.

აბრამ და ლაა სარნოფები მინსკის გუბერნიაში ცხოვრობდნენ. აბრამი მოხეტიალე მღვდელი იყო, ლაა კი კერვითა და მრეცხაობით შოულობდა ფულს. 1891 წლის თებერვალში მათ ვაჟი შეეძინათ და ცხოვრება უფრო გაუჭირდათ. უკეთესი ბედის საძიებლად აბრამი 1896 წელს ამერიკაში გაემგზავრა, ოთხი წლის შემდეგ კი ოჯახის წევრებთან ერთად დაბრუნდა. ასე აღმოჩნდა ცხრა წლის ბიჭუნა ნიუ-იორკის

ტროობის სახელმძღვანელოებს იხეპირებდა. მისი სიბეჯითე დაფასდა და ის ჯერ უმცროს ტელეგრაფისტად დააწინაურეს, მერე საოპერატორო ცვლის უფროსად, ერთი წლის შემდეგ კი – რადიოსადგურის მენეჯერად.

თხოვნა „ტიტანიკიდან“ დახმარების შესახებ

სარნოფს საინტერესო სამუშაო ჰქონდა, სწრაფადაც აწინაურებდნენ, მაგრამ მას მეტი სურდა, უნდოდა სახელი გაეთქვა. გაუმართლა კიდევ, 1912 წლის 14 აპრილის ღამეს სწორედ დევიდ სარნოფი იყო ის ტელეგრაფისტი, ვინც დაზიანებულ ლაინერ „ტიტანიკიდან“ დახმარების თხოვნის სიგნალი მიიღო. მომდევნო სამი დღის განმავლობაში მას სამუშაო ადგილი არ დაუტოვებია, იღებდა ცნობებს იმ ზომადღებდნენ, რომლებიც „ტიტანიკის“ დასახმარებლად მიემართებოდნენ. „ტიტანიკის“ ამბებს და ახალგაზრდა

1917 წელს დევიდის დედამ მას მეზობელი ემიგრანტი ებრაელების, ერმანების ოჯახი გააცნო, რომლებიც საფრანგეთიდან იყვნენ. დევიდს მათი ქალიშვილი – ლიზეტა შეუყვარდა. წვეილი მალევე დაქორწინდა. როგორც აღმოჩნდა, სარნოფი ფანტასტიკურად თანამიმდევრული და ერთგული იყო არამარტო ბიზნესში, არამედ ქორწინებაშიც – ცოლ-ქმარმა ერთად 54 წელი იცხოვრა. დევიდს და ლიზეტს 3 ვაჟი ჰყავდათ.

პირველი ტრანსლაციონი

1919 წელს ბრიტანული Marconi-ის შვილობილმა კორპორაციამ Radio Corporation of America-მ (RCA) შეიძინა, რომელიც რადიოელექტრონულ აპარატურას აწარმოებდა. ახალ კომპანიაში სარნოფს კომერციული განყოფილების მენეჯერის თანამდებობა შესთავაზეს. ახალ ადგილზე მან კვლავ სცადა თავისი „მუსიკალური ყუთის“ იდეის „გაქაჩვა“, რომელმაც ამ ჯერზე უკვე ბევრი დაინტერესდა. ერთი წლის შემდეგ „მუსიკალური ყუთი“ გაყიდვაში გამოჩნდა, მაგრამ ამერიკელები თავშეკავებით შეზღუდნენ ამ რევოლუციურ ინსტრუმენტს, ისინი ვერ აცნობიერებდნენ მის პრაქტიკულ სარგებელს. გაყიდვების რაოდენობა ძალზე მოკრძალებული იყო – „მუსიკალური ყუთი“ მხოლოდ 5 ათასმა ამერიკელმა შეიძინა. სარნოფი მიხვდა, რომ სიახლის პოპულარიზაციისთვის შთაბეჭდვადი რეკლამა იყო საჭირო.

1921 წლის ივლისის დასაწყისში ჯერსი-სიტიში გაიმართა „მოკრივეთა საუკუნის ბრძოლა“ ამერიკელ ჯექ დემსისა და ფრანგ ჟორჟ კარპანტიეს შორის. შერკინება, რომელსაც 90 ათასზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალს, სპეციალურად აშენებულ არენაზე გაიმართა. კრივის ნახვის მსურველი ბევრად მეტი იყო. სწორედ აქ გამოჩნდა სერნოფი. მან მოაწყო ისტორიაში რადიოთი კრივის პირველი ტრანსლაცია. დემსისმე მეთოთხე რაუნდში ნოკაუტით სძლია მეტოქეს. ამის შესახებ მთელმა



ქვეყანამ გაიგო. უკვე მეორე დღიდან ამერიკელებმა რადიოების სწრაფი ტემპებით შექმნა დაიწყეს. მომდევნო სამი წლის განმავლობაში „მუსიკალური ყუთების“ გაყიდვით მიღებულმა კომპანიის შემოსავალმა 80 მილიონ დოლარს გადაჭარბა. კოლოსალური წარმატება მოუტანა დევიდს RCA-ს კომპანიის ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური დირექტორის პოსტებზე დანიშნა. ამ დროიდან იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების მუდმივი მრჩეველი ხდება.

ტელევიზორის დახმარება

1928 წელს სარნოფი განსაკუთრებით თავის ერთ თანამშრომელს, რუსეთიდან ემიგრირებულ ვლადიმერ ზვორიკინს დაუახლოვდა, რომელიც პირველი სატელევიზიო ელექტრონული გადამცემი მილაკის შექმნით იყო დაკავებული. RCA-ს პრეზიდენტმა რუს ინჟინერს ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობა შესთავაზა და ამ პროექტის განხორციელებაში დიდი თანხები ჩადო. ხარჯები ასმაგად ანაზღაურდა. 1939 წელს კორპორაციამ პირველი ტელევიზიონი გამოუშვა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ტელევიზიის განვითარებას ხელი შეუშალა. ომის წლებში სარნოფი

გენერალ ეიზენჰაუერის შტაბში კავშირის საშუალებების კონსულტანტი იყო და ბრიგადის გენერლის წოდებაც მიიღო. ამ დროის განმავლობაში იგი აგრძელებდა თავისი მთავარი თანამშრომლის ვლადიმერ ზვორიკინის დაფინანსებას და მის დაცვას.

ტელემაუწყებლობაზე მუშაობის გაგრძელება მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1949 წელს აშშ-ში 7 მილიონზე მეტი ტელევიზორი იყო, მათგან უმეტესობა RCA-ს გამოშვებული იყო. უკვე 1953 წლისათვის ტელემაუწყებლობა აშშ-ის ტერიტორიის 90%-ზე ვრცელდებოდა.

სარნოფის მომდევნო მიღწევა ფერადი ტელევიზორების შექმნა გახდა და ამჯერადაც მომთხოვნი ამერიკელი მყიდველი სიახლის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი აღმოჩნდა. გაყიდვების დაბალი მაჩვენებლების გამო კომპანიის მოგება მეოთხედამდე დაეცა, მაგრამ პრეზიდენტი ამას არ შეუფოთებია, მან იცოდა, რომ გაყიდვების რაოდენობის გაზრდისთვის საჭირო იყო მაყურებლისთვის ფერადი ტელევიზორების შესაძლებლობების ჩვენება. ამგვარი გარღვევა აღმოჩნდა პროგრამა „დისნეის ჯადოსნური სამყარო“, რომლის სრულყოფილად განხორციელება სწორედ ახალი ტექნოლოგიების წყალობით გახდა შესაძლებელი. ფერადი ტელევიზორების გაყიდვამ იმატა და 1969 წლისთვის მოგებამ 100 მილიონ დოლარს გადაჭარბა.

RCA-ს პრეზიდენტის პოსტზე სარნოფის ბოლო მიღწევა იყო ასტრონავტ ნილ არმსტრონგის მთვარის ზედაპირზე გადაადგილების ტრანსლაცია. 1969 წელს სარნოფი პენსიანზე გავიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. სამსახურიდან წასვლის შემდეგ მისი ჯანმრთელობა არ გაუმჯობესებულა. 1971 წლის 12 დეკემბერს დევიდ სარნოფი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბელა გველმისიანი
568 90 81 22



დარბ უბანში, ქვემო ისტ-საიდში. ათი წლის ასაკში დევიდმა გაზეთების გამყიდველად დაიწყო მუშაობა. ცოტა ხანში მან ნაბეჭდი პროდუქციის პატარა ქსელი შექმნა – ის დაბეჭდვისთანავე ყიდულობდა გაზეთებს და მერე წერილ მოვაჭრეებზე შედარებით ძვირად ყიდდა. საქმე კარგად წავიდა. ბიჭუნამ სახელიც გამოიცვალა და ახლა ის დევიდ სარნოფი გახდა.

1906 წელს, 15 წლის დევიდმა მუდმივი სამუშაოს მოძებნა გადაწყვიტა და New York Times-ში აპირებდა მისვლას, მაგრამ კარი შეეშალა და სატელეგრაფო კომპანია Marconi-ის ამერიკის ოფისში აღმოჩნდა, სადაც ძალიან სჭირდებოდათ კურიერები. კომპანიის მფლობელი ცნობილი იტალიელი რადიოტექნიკოსი და მეწარმე, ფიზიკაში ნობელის პრემიის მფლობელი ლაურენტე, უსადგნო ტელეგრაფის გამოგონებელი გულიერმო მარკონი გახლდათ. დამტარებლად აყვანის შემდეგ სარნოფმა სერიოზულად დაიწყო ტელეგრაფის მუშაობის პრინციპების შესწავლა. დღისით ის კურიერად მუშაობდა, ღამით კი მენეჯმენტისა და ელექ-

რადისტის დევიდ სარნოფს მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. მისი ფოტოები ყველა იმ გაზეთში მოხვდა, რომლებიც ისტორიაში უდიდესი ზომადღის დაღუპვის ამბებს ამცნობდნენ მკითხველს. მაშინ ახალგაზრდა თანამშრომელმა არამარტო საკუთარ თავს გაუთქვა სახელი, არამედ იმ კომპანიასაც, სადაც მუშაობდა. ეს ისტორია სარნოფის ცხოვრებაში შეუქცევადი გახდა – მან გაიაზრა, რომ ტელეგრაფს კოლოსალური პოტენციალი ჰქონდა.

1914 წელს, დევიდი ნიუ-იორკის ნავსადგურის სანაპირო შენობებისა და ზომადღების რადიომაუწყებლობის ინსპექტორად დანიშნეს. სწორედ მაშინ წარუდგინა მან კომპანიის ხელმძღვანელობას ისეთი რადიომაუწყებლობის შექმნის გეგმა, რომელიც მუსიკალური გადაცემების ტრანსლაციის მიღებას შეძლებდა. იდეა იმდენად რევოლუციური და უჩვეულო იყო, რომ ხელმძღვანელობამ ის მომენტალურად უარყო, როგორც უპერსპექტივო. ისტორია ადასტურებს, რომ პერსპექტიულმა რადისტმა დროს გაუსწრო.



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

ბაზაშითს ბაზოფერა შვიბილიათ
შპს „აგვა-ჯი“-ს მფლობელი
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგვლის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001